ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 2016 №81 (7007) ფასი: 50 თეთრი

5 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



საპარლამენტო არჩევნები 8 ოქტომბერს გაიმართება

გვ.2

მარგველაშვილი კვირიკაშვილს შეხვდა

შეხვედრას თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ესწრებოდნენ.

საკადრო საკითხები არ განხილულა

ნუგზარ წიკლაური: „მთავარი ბრძოლა არჩევნებზე ჩვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის იქნება“

გვ.3

„ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებას არავისთან გეგმავს“

გია ჟორჟოლიანი: „კოალიცია არჩევნების შემდეგ შეიქმნება“

გვ.5

„სოციალ-დემოკრატები გადაწყვეტილებას მალე გამოვაცხადებთ“

გვ.2

ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელი მინისტრები ამ თვის ბოლომდე ვერ გაატანენ“

„თინა ხიდაშელი პასუხისგებაში უნდა მიეცეს“

გვ.3

3 თვეში მერიამ 175 ტონა საწვავი მოიხმარა

რაში აჯობა ვაკის გამგებელმა თავის კოლეგებს

ელიზბარ ჯაველიძე: „ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის მოთხოვნით წავიდა“

„მამუკა კაციტაძემ გვითხრას, სად წაიღო ის ფული“

გვ.4

ISSN 1987-9385

შალვა რამიშვილი: „იმედთან“ ჩემი საქმიანი ურთიერთობა დასრულდა“

გვ.7

ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელი მინისტრები ამ თვის ბოლომდე ვერ გაატანენ“

„თინა ხიდაშელი პასუხისგებაში უნდა მიეცეს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია აფასებს.

– ბატონო ჯონდი, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა, საუბარია, რომ შიგნით საკმაოდ აირია სიტუაცია, რა ხდება, რა პროცესი მიმდინარეობს?

– „ქართული ოცნება“ იმთავითვე იყო საკმაოდ ჭრელი კონგლომერატი, განსხვავებული ცნობიერების და განსხვავებული პირადი ინტერესების მატარებელი ხალხის გაერთიანება. შესაბამისად, ეს ძალიან ლოგიკური იყო, რომ დაშლილიყო. როგორც ჩანს, ამას ხელი შეუწყო ივანიშვილის გადაწყვეტილებამაც, რომ ამდენი ბალასტი არ ეზიდა მოახლოებული არჩევნების წინ.

– რატომ არ დაელოდნენ არჩევნებს? საუბარია, რომ ახლა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, პარლამენტში უმრავლესობა ეშლებათ.

– პარლამენტში უმრავლესობა დაიშალა, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის.

– ანუ ივანიშვილი სწორად მოიქცა?

– ივანიშვილი სავსებით სამართლიანად მოიქცა. ივანიშვილმა მისცა ამ პოლიტიკურ პარტიებს უნიკალური შანსი, მისცა ოთხწლიანი საპარლამენტო ტრიბუნა, სადაც ჰქონდათ საშუალება, რომ საკუთარი თავი ეჩვენებინათ. ეს არ იყო უბრალოდ ტრიბუნა, ისინი შიგნით იყვნენ, ხელისუფლებაში. მათ კი თითიც არ გაუნძრევიათ ხალხისთვის. მარტო საკუთარი მუცლის ამოვსებაზე ფიქრობდნენ. ამიტომ ეს სავსებით ლოგიკური და სამართლიანი პროცესია.

– რატომ შემოსწყრა ასე მწარედ ივანიშვილი რესპუბლიკელებს?

– რესპუბლიკელებმა ვერც ერთხელ ვერ შეაფასეს საკუთარი თავი და შესაძლებლობები სწორად. ისინი ყოველთვის ახდენენ საკუთარი თავის გადაფასებას. რესპუბლიკელებს იმდენი ჭკუაც არ ჰყოფნით, რომ ხმამაღლა მაინც არ თქვან, რომ ყველაზე უკეთესები არიან. მოვიდნენ ხელისუფლებაში ივანიშვილის ავტორიტეტით, მის ფრთებქვეშ და ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ივანიშვილის წინააღმდეგ საქმიანობით. რესპუბლიკელები დღეს საკუთარმა არაადეკვატურმა ამბიციებმა შეაწუხა და უფრო მეტი მოინდომეს, ვიდრე ჰქონდათ.

– დღეს საუბარია ახალ ალიანსებზე. ვისთან შეიძლება ვიხილოთ რესპუბლიკური პარტია, ნაციონალებთან?

– თანხვედრი იდეოლოგია აქვს ამ სამ პარტიას: რესპუბლიკელებს, თავისუფალ დემოკრატებს და ნაციონალებს. სამივე არიან ლიბერალები. თეორიულად კი შესაძლებელია მათი გაერთიანება და ბარიერსაც გადალახავენ, თუკი გაერთიანდებიან. ბარიერის გადალახვა, ნაციონალების გარდა, ამ ორ პარტიას გაუჭირდება.

– ნაციონალები თავისუფლად გადალახავენ?

– ნაციონალებმა მოახერხეს იმის ჩვენება, რომ მთავარი ლიბერალები მაინც ეგენი არიან. რესპუბლიკელებმა კი აჩვენეს, რომ ისინი ყველაფერზე წავლენ, ყველაფერზე ხელს მოაწერენ. ნაცმოძრაობას თავისი სტრუქტურები აქვს, თავისი ტელევიზია აქვს რუსთავი 2-ის სახით და უზარმაზარი ნაქურდალი ფული. რესპუბლიკელებს კი ამდენის ქურდობა ჯერ არ მოუსწრიათ. თუმცა არც მათ დააკლეს სახელმწიფოს ხელი. რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების მაქსიმუმია 2-2,5% ამ არჩევნებზე.

– „ოცნების“ სიაშიც სერიოზული განახლება მიდის. ეს სწორი სტრატეგიაა ივანიშვილის მხრიდან?

– თვითონ პარტია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაც არ ბრწყინავდა, თუმცა დანარჩენებთან შედარებით ესენი ცოტა უკეთესად გამოიყურებოდნენ, მაგრამ დაბალი იყო კვალიფიკაცია და გამოცდილება.

განახლება ნამდვილად სწორი სტრატეგიაა, მაგრამ ახალს ვის მოიყვანს, ეს მე არ ვიცი. რამდენიმე კაცი, ვისზეც მე გავიგე, იგივე მიშა დონდუა და კიდევ 20/30-ის წევრები, მიმაჩნია, რომ გამოცდილი პროფესიონალები არიან თავისი საქმის. აი, პოლიტიკის კეთების გამოცდილება რამდენად აქვთ და ამ კუთხით რამდენად გამოირჩევიან, ეს ჩემთვის ცნობილი არ არის.

– რამდენად დადგება დღის წესრიგში არჩევნებამდე რესპუბლიკელი მინისტრების გადაყენების საკითხი?

– მე არ მგონია, რომ რომელიმე რესპუბლიკელმა მინისტრმა ამ თვის ბოლომდე გაატანოს.

– ანუ გადააყენებენ?

– ლოგიკა ამას გვკარნახობს. რესპუბლიკელები ზედმეტმა ამბიციებმა შეაწუხათ, ისინი ივანიშვილმა კი არ მოიშორა, მათ ფრთების გამოსხმის სურვილი აქვთ და ამიტომ გავიდნენ კოალიციიდან. უფრო მეტი უნდათ, ვიდრე ეკუთვნით. ეს პოლიტიკური პარტია თან აცხადებს, რომ პარლამენტში უკვე ოპოზიციაშია და თან მთავრობაში მინისტრები ჰყავს, პარლამენტში კი – კომიტეტის თავმჯდომარეები. ეს ყველაფერი ლოგიკაში არ ჯდება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მათ მოუწევთ თანამდებობების დატოვება.

– ჩვენ ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დატოვება წინასაარჩევნოდ სერიოზული საფრთხის შემცველია. თქვენც ასე ფიქრობთ?

– რასაკვირველია, საფრთხეა და საერთოდ მისი დანიშვნა თავიდანვე სერიოზული საფრთხე იყო.

– რატომ?

– თავდაცვის მინისტრი არის არაადეკვატური ადამიანი, არის თავშეუკავებელი, გაუწონასწორებელი. სამწუხაროდ, ასევე უკიდურესად არის დახარბებული გრანტებს და სხვადასხვა ტიპის შემოსავლებს უცხოეთიდან. ზოგადად ის იმართება უცხოეთიდან. ამიტომ მისი მოქმედება და განცხადებებიც ყოველთვის ანტისახელმწიფოებრივია. ახლაც ჩვენს სამეზობლოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სამარცხვინოდ იქცევა.

– რატომ, ასეთს რას აკეთებს?

– მე ვფიქრობ, რომ ასეთი საქციელის გამო პასუხისგებაშიც კი უნდა მიეცეს! ის ცდილობს ჩაერთოს პროცესში და კონფლიქტის მხარე გახდეს. მისი მინისტრობა ყოვლად დაუშვებელია! ამათზეა ნათქვამი, უნახავმა რა ნახაო! დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ ხიდაშელი და უსუფაშვილი ამ სკამებიდან ააწყვიტონ! მათთვის ეს მთელი ცხოვრებაა.

– ეროვნული ფორუმიც გავიდა კოალიციიდან და პარლამენტშიც თანამდებობები საკუთარი სურვილით დატოვეს.

– მოდით, თუ შეიძლება, ფორუმზე კომენტარს საერთოდ არ გავაკეთებ. არ მინდა მათზე საუბარი, განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციული კანონის მხარდაჭერის მერე. მაინც ანგარიშს გავუწევ წარსულში ჩემს მათთან ურთიერთობებს.

– ამ მოცემულობის ფონზე, რამდენად იზრდება არასაპარლამენტო ოპოზიციის შანსები?

– უნიკალური შანსი მიეცა არასაპარლამენტო ოპოზიციას ამ დაშლა-არმოშლის ფონზე. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ საზოგადოებას შევთავაზოთ კონსოლიდირებული, გაერთიანებული პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ ბარიერის გადალახვაზე და მერე პრემიების და ხელფასების დარიგებაზე, არამედ, ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ შეცვალოს ხალხის ცხოვრება უკეთესობისკენ. ეს შანსი ჩვენ გვაქვს, თუმცა ამ შანსსაც გამოყენება უნდა.

ვახტანგ ხმალაძე: „არა მგონია, მინისტრების ცვლა იმ რაოდენობით მოხდეს, რომ მთავრობის ნდობის საკითხი დადგეს“

გავრცელებულ ინფორმაციას მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა რესპუბლიკელმა მინისტრებმა თანამდებობები დატოვონ, თავად რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი წევრი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე გამოეხმაურა. როგორც მან განაცხადა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია პარტიაში არ არსებობს.

– ეს საუბარი ძალიან დიდი ხანია რაც მესმის. ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც ისინი მინისტრებად დაინიშნენ. ამიტომ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ. მე ამას ასე ვერ ვხედავ. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, მთავრობის შემადგენლობაში მინისტრების ცვლა იმ რაოდენობით მოხდეს, რომ ამან მთავრობის ნდობის საკითხის დასმა გამოიწვიოს, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

პირველი რადიო

რესპუბლიკელ მინისტრებთან ერთად სანიკიძეც მიდის?

მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები მთავრობაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოსტებს რესპუბლიკელი მინისტრები თინა ხიდაშელი, გიგლა აგულაშვილი და პაატა ზაქარეიშვილი ტოვებენ, მათთან ერთად შესაძლოა თანამდებობა თამარ სანიკიძემაც დატოვოს.

სახელდება მათი შემცვლელების ვინაობაც. არსებული ინფორმაციით, თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი სესიაშვილი, გიგლა აგულაშვილს კი გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე ნინო სულხანიშვილი ჩაანაცვლებს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის ნაცვლად კი მის პოსტს ქეთევან ციხელაშვილი დაიკავებს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე კი თამარ სანიკიძის ნაცვლად, მაია მიმინოშვილის კანდიდატურა განიხილება.

პირველი რადიო

საპარლამენტო არჩევნები 8 ოქტომბერს გაიმართება

მარგველაშვილი კვირიკაშვილს შეხვდა

საკადრო საკითხები არ განხილულა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები 8 ოქტომბერს ჩატარდება.

აღნიშნული განცხადება პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ, 5 აპრილს, საღამოს გააკეთა.

მისი თქმით, შესაბამისი დოკუმენტაცია კონტრასიგნაციისთვის პრემიერ-მინისტრს დღეს გადაეგზავნება.

ამ განცხადებას წინ უძღოდა მთავრობის ადმინისტრაციაში პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრას თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ესწრებოდნენ.

– სამთავრობო ცვლილებები ან საკადრო თემები დღევანდელ შეხვედრაზე არ განხილულა, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი რეგიონში არსებულ ვითარებას შეეხო.

– პრემიერ-მინისტრთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მქონდა ნაყოფიერი შეხვედრა, რომლის ფარგლებში მიმოვიხილეთ რეგიონში არსებული ვითარება და კოორდინირებული მუშაობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ საქართველოსა და რეგიონის სასიკეთოდ, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეხვედრის შესახებ ისაუბრა თედო ჯაფარიძემაც.

– პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრაზე განვიხილეთ ვარშავის მოახლოებულ სამიტთან, ასევე ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრაზე საუბარი იყო ასევე საქართველოში მიმდინარე შიდა პროცესებზე და კოალიციაში არსებულ გადაადგილებებზე, – განაცხადა მან.

როგორც თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, შეხვედრაზე მათ მოისმინეს ასევე პრეზიდენტისგან მისი ამერიკაში ვიზიტის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის თქმით, პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე, ასევე ევროინტეგრაციასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციაზე.

– ვარშავის სამიტზე საქართველო მოელის, რომ ინტეგრაციის გზაზე არსებული პროგრესი კიდევ ერთხელ დაფიქსირდება, – განაცხადა მან.

მისი თქმით, საქართველო ახორციელებს ყველა ღონისძიებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი ჩვენი წინსვლის გზაზე.

– ასევე ვმუშაობთ, რათა ამაღლდეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, – განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება ჟურნალისტების კითხვას, იქნება თუ არა ვარშავის სამიტზე წარდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, მიხეილ ჯანელიძემ აღნიშნა, რომ „ეს კითხვა მასთან არ არის“.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნუგზარ წიკლაური: „მთავარი ბრძოლა არჩევნებზე ჩვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის იქნება“

„ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებას არავისთან გეგმავს“

შორენა მარსაგიშვილი

ვისთან აპირებს ნაცმოძრაობა თანამშრომლობას, შექმნიან თუ არა კოალიციას, გამოიწვია თუ არა დაპირისპირება საარჩევნო სიის ფორმირებამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.

– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით სხვადასხვა პარტიებთან გეგმავს თანამშრომლობას. არის მოსაზრება, რომ შესაძლოა კოალიციაც კი შექმნათ. ასეთი რამე მართლა შეიძლება მოხდეს?

– საარჩევნო კოდექსზე თანამშრომლობა და კოალიციის შექმნა ორი სრულიად განსხვავებული რამ არის. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ჩვენ საკონსტიტუციო ცვლილებებიც კი გვაქვს მომზადებული. აქტიურად ვთანამშრომლობთ პარტიებთან. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებთანაც ნაციონალურ მოძრაობას იდეოლოგიური თანხვედრა არ აქვს.

– ასეთი განსხვავებული იდეოლოგიის პარტიებთან თანამშრომლობა ძნელი არ არის?

– სასიამოვნო არ არის, მაგრამ ჩვენ გვინდა ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღება, რომელიც სრულყოფილად ასახავს ქართველი ამომრჩევლის ნებას. არჩევნებზე ვინმესთან ერთად გასვლა არის სულ სხვა საკითხი. ამ მიმართულებით კონსულტაციები ნაციონალურ მოძრაობაში არ ყოფილა. ამ თემაზე არც სხვა რომელიმე პარტიის წარმომადგენლებთან გვისაუბრია.

– გია ბარამიძემ კოალიციის შექმნა რომ არ გამორიცხა?

– ეს არის პირადად მისი მოსაზრება და მან ამასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა. ამ თემაზე პარტიაში სიტყვაც კი არ თქმულა. დღეს არსებული ვითარებით, ნაციონალური მოძრაობა არჩევნებზე დამოუკიდებლად აპირებს მონაწილეობის მიღებას.

– საარჩევნო სიების ფორმირების დროს ყველა პარტიაში ადგილი აქვს უთანხმოებებს. სიის ფორმირებაზე თქვენც დაიწყეთ მუშაობა და ამასთან ერთად უთანხმოებებიც ხომ არ დაიწყო?

– საარჩევნო სიების ფორმირებასთან დაკავშირებით მართლაც დაწყებულია მუშაობა. ამ თემაზე გაიმართა პოლიტსაბჭოს სხდომაც, სადაც იმ პრინციპებზე ვისაუბრეთ, თუ როგორ უნდა მოხდეს სიის დაკომპლექტება. რაც შეეხება პერსონებს, ამ საკითხზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.

არჩევნების წინ, სიის ფორმირებისას ყველა პარტიაში ხდება ხოლმე უკმაყოფილება. ჩვენთანაც შეიძლება ვიღაცას განსხვავებული აზრი ჰქონდეს. ამის მიუხედავად, ოპტიმალური სიის წარდგენაში ხელი არ შეგვეშლება. პარტიაში ყველანი სოლიდარულები ვართ იმ თვალსაზრისით, რომ ეს სია უნდა იყოს საფუძვლიანად განახლებული.

ჩვენს სიაში აუცილებლად უნდა იყვნენ ახალი სახეები, რომლებიც საზოგადოებას მკაფიოდ დაანახებენ, თუ რა მიზნები აქვს ჩვენს პარტიას. სიის თვალსაზრისით ბევრი სიახლე ელოდება მოსახლეობას. ახალ სახეებს როცა ვამბობ, უცნობ სახეებს არ ვგულისხმობ. ამ ადამიანებს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, ისინი პოლიტიკურად და საზოგადოებრივადაც ძალიან აქტიურები არიან.

– ყველა ამბობს, რომ „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე დაშლა-მოშლის პროცესებმა ნაციონალების წისქვილზე დასხა წყალი. თქვენც ასე ფიქრობთ?

– „ქართული ოცნება“ არასოდეს ყოფილა იდეოლოგიური ერთობა. მთელი ამ წლების მანძილზე ვხედავდით, რომ კოალიციაში შემავალი ერთი პარტია აქებდა და ადიდებდა სტალინს, მეორე პარტია რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა. რადიკალური განსხვავებები იყო თითქმის ყველა საკითხზე. ერთადერთი დუღაბი იყო ბიძინა ივანიშვილი და მისი ფინანსური შესაძლებლობები. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ისინი ადრე თუ გვიან დაიშლებოდნენ.

მთავრობას ასე ძალიან რომ არ გასჭირვებოდა, დაშლაზე არ დაიწყებდნენ საუბარს. რეიტინგი მკვეთრად შეერყათ და ახლა ფიქრობენ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია რესპუბლიკელებს ან ფორუმს. პარტია „ქართული ოცნება“ იმ პოლიტიკური ძალების ჩამოცილებას იწყებს, რომლებიც, მათი აზრით, ელექტორატულ რესურსს არ წარმოადგენენ.

რაც შეეხება იმას, ვნახავთ თუ არა ხეირს მათი დაშლით. ამ პროცესმა ყველა ოპოზიციური პარტიის წისქვილზე დაასხა წყალი. მმართველი გუნდის დასუსტება ოპოზიციას არჩევნებზე დამატებით შანსებს აძლევს. მათი დაქაქსულობა, ტყუილები და საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობა არჩევნებზე გაცილებით მეტ ხმებს მოგვიტანს. კარგია, მმართველი გუნდი რომ დასუსტდა, მაგრამ ყველამ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ეს არ არის საკმარისი სერიოზული შედეგის მისაღწევად.

– რა არის კიდევ საჭირო, რომ არჩევნებზე პარტიამ სერიოზული შედეგი დადოს?

– ამისთვის საჭიროა პოლიტიკური წარსული. სხვების წარსულზე საუბარს არ ვაპირებ. ჩვენი პარტიის პოლიტიკური წარსული ქვეყნის წინსვლასთან არის დაკავშირებული. საუბარია როგორც ეკონომიკურ წინსვლაზე, ასევე საგარეო კუთხით მოპოვებულ წარმატებებზე.

ამის გარდა, პარტიას უნდა ჰქონდეს საარჩევნო პროგრამა, არც ამის წარდგენა გაგვიჭირდება და ძალიან მალე წარვადგენთ ჩვენს ხედვებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებზე ჩვენ ძალიან სერიოზულ შედეგს დავდებთ.

არჩევნებზე 2 ძალა იქნება დაყოფილი ძალებისგან განცალკევებული. არ ვვარაუდობ, რომ 4 ან 5 პარტია თანაბარი ძალებით მოხვდება პარლამენტში. ყველაზე მეტი შანსი ჩვენ და „ქართულ ოცნებას“ გვექნება. ეს უკანასკნელი ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე შეეცდება პარლამენტში მოხვედრას.

– სხვა პარტიებს პარლამენტში მოხვედრის შანსები არ აქვთ?

– რამდენიმე პარტია მოხვდება პარლამენტში, მაგრამ ისინი მინიმალურად იქნებიან წარმოდგენილი. ჩვენი მთავარი საფიქრალი სხვების პროცენტების დათვლა არ არის. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში მწყობრი საარჩევნო კამპანია გვქონდეს. ხალხს უნდა დავანახოთ, რომ იმ პრინციპების ერთგულები ვართ, რაც გვქონდა და ის შეცდომებიც გავიაზრეთ, რაც ამ წლების განმავლობაში დაგვიშვია. ამ შეცდომების გააზრებით გავიმარჯვებთ არჩევნებზე.

– ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები პროდასავლურ ძალებად ითვლებიან. არჩევნებზე მათი ცალ-ცალკე მონაწილეობა პროდასავლური ორიენტაციის ამომრჩევლების ხმებს ხომ არ წაიღებს?

– ჩვენი მხარდამჭერების მცირე ნაწილი შესაძლოა ან ერთისკენ წავიდეს ან მეორე პარტიას მისცეს ხმა. შესაძლოა, სხვისკენაც გადაიხარონ. ასევე მათი მომხრეების ნაწილიც შეიცვლის პოზიციას და ჩვენსკენ წამოვა. ასეთი რაღაცები არჩევნებზე ყოველთვის ხდება.

სხვა პარტიების პროცენტების დათვლა არ მსურს, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე გითხარით, მთავარი ბრძოლა ჩვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის გაიმართება. ვისაც „ქართული ოცნების“ ტყუილები მობეზრდა, აუცილებლად მოძებნის ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ ძალას. ასეთი ძალა კი ნაციონალური მოძრაობაა.

ეს ხელისუფლება მარცხს თავს ვერ დააღწევს. 4 წლის მანძილზე მათ იმდენჯერ მოატყუეს ხალხი, რომ სხვანაირად არ მოხდება. ასეთი სამარცხვინო ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ არ ჰყოლია. მათი მმართველობის ეპოქა ყველაზე სამარცხვინო ეპოქად შევა უახლეს ისტორიაში.

– აქამდე ყველაზე სამარცხვინოდ შევარდნაძის ეპოქას თვლიდით და მაგაზე სამარცხვინოა „ქართული ოცნება“?

– ყველაზე უარყოფითად შევარდნაძის ეპოქისადმი ვარ განწყობილი, მაგრამ შევარდნაძესაც კი არ გაუცია ასეთი ცინიკური დაპირებები, როგორიც ამათ გასცეს.

3 თვეში მერიამ 175 ტონა საწვავი მოიხმარა

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის საკრებულომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ საწვავის მოხმარების კუთხით სერიოზული მადა აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც მერია აღმოჩნდა. მათ 3 თვეში 175 ტონა საწვავი მოიხმარეს.

რაში აჯობა ვაკის გამგებელმა თავის კოლეგებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმა“ ჩემპიონი მომხმარებლები გამოავლინა. ოფიციალური დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ყველაზე მეტს ვაკის გამგებელი წვავს.

– მონიტორინგის მთავარი მიზანი სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებაა. საჯარო მოხელეებმა და თანამდებობის პირებმა იცოდნენ, რომ ყველა შემთხვევაში, როცა ისინი არამიზნობრივ ხარჯს გაწევენ, ინფორმაცია აუცილებლად ექნება თბილისელებს.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულად ვახდენთ მსგავსი კვლევების ტირაჟირებას, ჩინოვნიკების მადა ნამდვილად არ კლებულობს. უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) დედაქალაქის მერიის მიერ მოხმარებულმა საწვავმა 174.897 ლიტრი შეადგინა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი.

მისი თქმით, მერიისთვის 175 ტონა საწვავის შეძენა ბიუჯეტს 256.398 ლარი დაუჯდა.

ხაბეიშვილის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგებელი საწვავის ხარჯვის მიმართულებით უპირობო ლიდერია. მან 3 თვეში 1.785 ლიტრი მოიხმარა.

სხვა გამგებლების ხარჯი ასე გამოიყურება: კრწანისის გამგებელი – 380 ლიტრი, ჩუღურეთის რაიონის გამგებელი – 660 ლიტრი, ისნის გამგებელი – 1.102 ლიტრი.

– გამოდის, რომ ვაკის გამგებელი რიგ შემთხვევაში 4-5-ჯერ მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე მისი კოლეგები სხვა რაიონებიდან, – აღნიშნავს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

ვაკის გამგებელს საწვავის ხარჯვაში ტოლი არც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ახალმა უფროსმა გივი კუბლაშვილმა დაუდო. მან 3 თვეში 1.695 ლიტრი ბენზინი მოიხმარა და საწვავის წვის ჩემპიონთა ლიგაში მეორე საპატიო ადგილი დაიკავა.

– შემდეგი საპრიზო ადგილები გლდანის გამგებელზე, უსაფრთხოების და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსებზე ნაწილდება. თითოეულმა მათგანმა 3 თვეში 1.500 ლიტრი საწვავი მოიხმარა, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მისივე განმარტებით, საწვავის მოხმარების თვალსაზრისით ვაკის გამგებელსა და

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს ბევრად ჩამოუვარდებიან მინისტრები და მათი მოადგილეები.

– წარმოუდგენელია, ეს ხარჯი იყოს ადეკვატური. ამ ადამიანების სამუშაო ადგილი არის კონკრეტული ლოკაცია ანუ თბილისი და ვაკის გამგებლის შემთხვევაში მხოლოდ ვაკის რაიონი. გამოდის, რომ სამუშაო დღეებში ეს ადამიანები 300 კილომეტრს, ფაქტობრივად, თბილისი–ხაშური ხაშური–თბილისის მიმართულებით მოსიარულე მიკროავტობუსების გასავლელ გზას ფარავენ, – აცხადებს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

ოფიციალური დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საწვავის ხარჯვა თბილისის თითქმის ყველა რაიონის გამგებელს ჰყვარებია.

მათი დახარჯული საწვავის რაოდენობა ასე გამოიყურება: დიდუბის გამგებელი – 1.092 ლიტრი, მთაწმინდა – 1.184 ლიტრი, სამგორი – 945 ლიტრი, ნაძალადევი – 1.184, საბურთალო – 1.116 ლიტრი.

ლევან ხაბეიშვილს თუ დავუჯერებთ, სამგორის გამგებელი მომჭირნეობის გზას დასდგომია. წინა კვლევის შედეგებით, ყველაზე მეტი მან დაწვა, ახლა კი ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება.

– აშკარაა, რომ სამგორის გამგებელი უკვე ერიდება საწვავის ფლანგვას და თუ წინა შემთხვევებში 3 თვეში 1.500 ლიტრზე ნაკლებს არ მოიხმარდა, ამჯერად 945 ლიტრი მოიხმარა, – აღნიშნავს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

გამგეობების მიხედვით საწვავის ხარჯვის სურათი ასე გამოიყურება:

დიდუბის გამგეობა – 6.490 ლიტრი, გლდანის გამგეობა – 7.650 ლიტრი, ვაკე – 7.623 ლიტრი, ჩუღურეთი – 4.424 ლიტრი, კრწანისი – 4.428 ლიტრი, მთაწმინდა – 8.039 ლიტრი, სამგორი – 8.777 ლიტრი, ნაძალადევი – 6.827 ლიტრი, საბურთალო – 4.831 ლიტრი და ისანი – 5.221 ლიტრი.

მერიის ადმინისტრაციამ და საქალაქო სამსახურებმა 118.000 ლიტრი საწვავი მოიხმარეს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ელიზბარ ჯაველიძე: „ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის მოთხოვნით წავიდა“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დააბრუნებს ყოფილ პრემიერს პოლიტიკაში, ვის ბაძავენ რესპუბლიკელები, რატომ არ ამოღებულა ხმა არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის? – ამის შესახებ „ახალ თაობას" აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.

– როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის პრემიერი გახდა, თქვენ განაცხადეთ, რომ თუ ის სახელისუფლებო ნავიდან რესპუბლიკელებს არ გადააგდებდა, ისინი გადააგდებდნენ მას. ახლა არც ერთი აღარ არის სახელისუფლებო ნავში, თქვენი აზრით, როგორ აღმოჩნდნენ ორივენი ნავის მიღმა?

– მათი ერთად ყოფნა იყო წარმოუდგენელი. ირაკლი ღარიბაშვილი არის ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი, ხოლო რესპუბლიკელები თავიანთი ანტიეროვნულობით ნაციონალებსაც სჯობნიან.

ყოფილი პრემიერი პირდაპირ აცხადებდა, რომ ოჯახი არის წმინდა. ის ითხოვდა, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ ოჯახი არის კაცის და ქალის ერთობა. რესპუბლიკელები კი ერთსქესიანთა ქორწინებას დადებითად უყურებენ. ღარიბაშვილი ნაციონალების გასამართლებას ითხოვდა, რესპუბლიკელები კი თავიანთ მთავარ მიზნად ამ პარტიის გადარჩენას ისახავდნენ.

რესპუბლიკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკას ჩამოშორებოდა. ისინი დადიოდნენ თავიანთ პატრონებთან და სთხოვდნენ, რამენაირად ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისთვის ეროვნულად მოაზროვნე კაცი. ამერიკის ელჩმა მათი მოთხოვნა ყურად იღო და ღარიბაშვილი მისი მითითებით გაუშვეს პრემიერობიდან.

ამ ახალგაზრდა კაცს სამშობლოს სიყვარული არ აპატიეს. არც მისი კახური პირდაპირობა მოსწონდათ. ის თავის სათქმელს ხშირად უხეშად ამბობდა, მაგრამ ყოველთვის მართალი იყო. ის აზროვნებდა ისე, როგორც ქართველი კაცი უნდა აზროვნებდეს.

– დღეს ბევრს საუბრობენ პოლიტიკაში მის შესაძლო დაბრუნებაზე. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ამას მხოლოდ მივესალმები. ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერს მხარს. მისი დაბრუნება „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე ძალიან დაეხმარება. რესპუბლიკელების და ალასანიას პარტიის გამო „ოცნებამ“ ისედაც ბევრი მხარდამჭერი დაკარგა.

– თქვენი აზრით, დაბრუნდება ღარიბაშვილი?

– იმედი მაქვს, რომ დაბრუნდება. მართალია, ამერიკას მისი ხილვა არ გაეხარდება პრემიერად, მაგრამ საქართველოში ქართველი ხალხის ნება უნდა იყოს მთავარი და არა ვიღაც უსაქმურის.

– ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ს მოთხოვნით გაუშვესო ამბობთ, რესპუბლიკელები რატომ გაუშვეს კოალიციიდან? თუ ფიქრობთ, რომ ისინი საკუთარი ნებით წავიდნენ?

– ისინი კოალიციაში ვეღარ დარჩებოდნენ. ქართველი ხალხის განწყობის წინააღმდეგ წასვლა ძალიან ძნელი იქნებოდა. ხალხის განწყობა ამერიკის ელჩის სურვილზე ძლიერია. ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ხშირად ვხვდები მოსახლეობას. მათი უმეტესი ნაწილი ამბობდა, რომ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ხმას არ მისცემდნენ, თუ იქ სულ და ხორცგაყიდული რესპუბლიკელები იქნებოდნენ. მათი მადაც გაიზარდა და კიდევ რამდენიმე მინისტრის დანიშვნა მოითხოვეს.

ხალხს ისიც ვერ მოუნელებია, ხიდაშელმა თავისი სურვილი რომ აისრულა და თავდაცვის მინისტრი გახდა. ესეც არ იკმარა და ახლა დედოფალივით დაიჯგიმება. მის ქმარს თავი დავით სოსლანად წარმოუდგენია და რაღაც სიბრძნეებს ამბობს. ის ძმები ბერძენიშვილები კი ძმებ მხარგრძელობას იჩემებენ. ძმები მხარგრძელებიდან ერთ-ერთმა უღალატა საქართველოს. ამ ძმებიდან კი ორივე მოღალატეა. მათგან უფროსს სოკრატეობაზეც აქვს პრეტენზია და ეს არის პირველ რიგში ჟურნალისტების ბრალი.

– ჟურნალისტების ბრალი რატომ არის?

– ისე წარმოაჩენთ, თითქოს მაგათ გარდა წიგნი სხვას არ აქვს წაკითხული. იგივე ითქმის არასამთავრობოებზე. ყველაფერში აზრს მაგათ ეკითხებიან, როგორ შეიძლება ყველაფერი ამ არასამთავრობოებმა იცოდნენ. აქამდე ყველაფერს ეკა გიგაურს და ლომჯარიას ეკითხებოდნენ. ახლა მათ ჩაპუნტულებული გოგოც დაემატა, საიას რომ ხელმძღვანელობს.

მათთვის აზრის კითხვა კი არა, ტელეეკრანზე გამოჩენაც უნდა აიკრძალოს. ამათი აზროვნება ქართველი კაცის სულიერი გაცვედანებისკენ არის მიმართული. ქვეყანა ამათგან თუ არ დავიხსენით, ცუდად გვექნება საქმე.

ბევრს საუბრობენ, რომ რესპუბლიკელ მინისტრებს პოსტებიდან გაუშვებენ. მათ გარდა, თანამდებობიდან თამარ სანიკიძე და მიშა გიორგაძეც უნდა გაუშვან.

– კულტურის და განათლების მინისტრებს რას ერჩით?

– წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ან განათლება, ან კულტურა. ერთი მინისტრი ტანმოვარჯიშეა, მეორე – ჯაზმენი. ახლა ვიღაცა ამათ დანიშვნას ბიძინა ივანიშვილს დააბრალებს. ივანიშვილი არაფერი შუაში არ არის. მან უმთავრესი საქმე გაგვიკეთა და სააკაშვილი მოგვაშორა. ახლა ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ და უღირსი მინისტრები მოვიცილოთ. დარწმუნებული ვარ, ამათ დასაცავად დასავლეთი თავს გამოიდებს. განსაკუთრებით იაქტიურებს ამერიკის ელჩი, რომელსაც საქმე არა აქვს და ჩვენს საშინაო საქმეებში ერევა.

– თუ ამერიკამ კატეგორიულად მოითხოვა ამ მინისტრების დატოვება, მერე რა ხდება?

– ამ მიმართულებით ნაბიჯი უკვე გადადგმულია. რესპუბლიკელებმა

„მამუკა კაციტაძემ გვითხრას, სად წაიღო ის ფული“

კოალიციაში „სტოსის წაყვანა“ მოითხოვეს და აღმოჩნდნენ კიდეც კოალიციის მიღმა. არ მინდა ჭორების დონეზე ვილაპარაკო, მაგრამ ხმა გამოვიდა, თინა ხიდაშელმა იტირა, თავდაცვის მინისტრობას არ დავტოვებო.

რამდენიმე თვეში არჩევნებია და კარგი შანსი გვაქვს, საბოლოოდ მოვიშოროთ გამყიდველები. ხმამაღლა ვაცხადებ, ვინც რესპუბლიკელებს ხმას მისცემს არჩევნებზე, მარჯვენა უნდა მოკვეთო. მათ გარდა, ნაციონალებიც და არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც უნდა ჩამოვაშოროთ პოლიტიკას.

– არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ვინ არ მოგწონთ?

– არასაპარლამენტო ოპოზიციაში არის რამდენიმე ღირსეული პარტია, რომლებსაც პატივს ვცემ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ნაციონალების დაკვეთებს ასრულებენ.

– ვინ ასრულებს ნაციონალების დაკვეთებს?

– რამდენიმე პარტიის გამოკლებით, ყველა ყოფილი ხელისუფლების დაკვეთების შემსრულებელია. ახლა საარჩევნო კოდექსზე აქვთ ერთი ამბები ატეხილი. მაშინ სად იყვნენ, როცა მართლა ყალბდებოდა არჩევნები?

არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ძალიან აქტიურობენ მემარჯვენეები. მათი ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე რომ გამოდის და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ლაპარაკობს, ურჩევნია გვითხრას, სად წაიღო ის ფული.

– რა ფულზე ლაპარაკობთ?

– 2012 წელს მას ფული გამოუყვეს, რომ საარჩევნო სია გადაემოწმებინათ. უნდა ჩატარებულიყო აღწერა. არაფერი არ გაკეთებულა და რაღაც სულელური საარჩევნო სია დადეს. აი, ამაზე გველაპარაკოს კაციტაძემ და ზნეობას ნურავის ასწავლის!

არასაპარლამენტო ოპოზიციიდან კიდევ ბევრს არ აქვს ხმა ამოსაღები. ამიტომაც უნდა მივიდეთ არჩევნებზე და თუ ხალხი ვართ, ეგენი ყველანი პოლიტიკურ მოუსავლეთში გავუშვათ.

ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს. დასავლეთიდან სერიოზული ზეწოლები მიდის. არაა გამორიცხული, ჩვენი ეროვნული ვალუტა შეგნებულად გააუფასურონ.

– ეროვნული ვალუტა რატომ უნდა გაგვიუფასურონ?

– ხელისუფლებას მათთვის სასურველი გადაწყვეტილებები რომ მიაღებინონ. მე მესმის ხელისუფლების წარმომადგენლების, ისინი ფრთხილად მოქმედებას არჩევენ. როცა ხელისუფლებაში ხარ, ბევრი რამის გათვალისწინება გიწევს. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არის თავისუფალი და მას აქვს თავისი ნების გამოხატვის შესაძლებლობა. არჩევნებზე თუ ჩვენი ნების გამოხატვის შესაძლებლობა არ მოგვეცემა, მაშინ სხვანაირად უნდა მოვიქცეთ. თავისუფლების დასაცავად სხვა გზების გამოყენებაც შეიძლება.

გიორგი ვოლსკი: „ყოფილი პრემიერები სიაში არ იქნებიან“

– ყოფილი პრემიერები სიაში არ იქნებიან, ყოველ შემთხვევაში, მათი სურვილი ასეთია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ განუცხადა.

ვოლსკი ასევე გამოეხმაურა საარჩევნო კოდექსში ინიცირებულ ცვლილებებს, რომლის თანახმადაც პრემიერ-მინისტრს აღარ მოეთხოვება თანამდებობიდან გადადგომა, თუ იგი წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად.

– წარმოიდგინეთ, რა სიტუაცია შეიქმნება საქართველოში, როდესაც არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, თუკი პრემიერი გადაწყვეტს, რომ სიას ჩაუდგეს სათავეში და ეს მისასალმებელი იქნება, მთავრობის ხელახალი დაკომპლექტება უნდა დაიწყოს ერთი კვირის ვადაში, პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს... ერთი სიტყვით, გარკვეული სამართლებრივი და ვფიქრობ, ქვეყნისათვის საზიანო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას. ეს პრობლემაა მოსახსნელი, – განაცხადა ვოლსკიმ.

ინტერპრესნიუსი

დავით საგანელიძე საარჩევნო სიაში აღარ იქნება

„საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელი დავით საგანელიძე მომავალ არჩევნებში საარჩევნო სიაში აღარ იქნება. როგორც დავით საგანელიძემ აღნიშნა, მან ჯერ კიდევ დაახლოებით 2 წლის წინ დააფიქსირა პოზიცია, რომ პარტიას განახლება სჭირდება და საჭიროა ახალი სახეები.

– წინა განვლილი პერიოდი და წლები, რომლებიც მე პარლამენტში გავატარე, ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრი ვიყავი, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ახალი თაობა, ახალი სახეები მოვიდნენ, ახალი ენერგიით, ახალი ცოდნით და შესაბამისად, ნამდვილად არ ვთვლი საჭიროდ და არც აზრი შემიცვლია, რომ მე, მომავალ პარლამენტში ვიყო, – განაცხადა საგანელიძემ.

ინტერპრესნიუსი

რამაზ საყვარელიძე: „პარტიებისთვის ნაციონალებთან პარტნიორობა ლამის სასიკვდილო განაჩენია

ნაციონალურ მოძრაობასთან პარტნიორობა პარტიებისთვის ლამის სასიკვდილო განაჩენია, – ამის შესახებ

„ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ განუცხადა. მისი თქმით, პარტია, ვინც შესაძლოა ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას დათანხმდეს, „გირჩია“.

– ფაქტია, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან პარტნიორობა პარტიებისთვის ლამის სასიკვდილო განაჩენია. შესაძლოა „გირჩი“ აღმოჩნდეს ასეთი პარტია, რომელიც თავისთავად ნაციონალური მოძრაობაა. ვერ ვხედავ იმ პარტიას, რომელიც დაუკავშირებს თავის სახელს ნაციონალურ მოძრაობას, – განაცხადა საყვარელიძემ.

ინტერპრესნიუსი

სოზარ სუბარისთვის უცნობია, იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ სიაში

საქართველოს დევნილთა მინისტრის, სოზარ სუბარისთვის უცნობია, იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ სიაში. როგორც სუბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, პირადად მასთან ამის თაობაზე საუბარი არ ყოფილა.

– ვერაფერს გეტყვით, ამაზე პირადად ჩემთვის არ ყოფილა საუბარი, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მანვე კომენტარი გააკეთა პარლამენტში წარდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით. როგორც სუბარმა აღნიშნა, დღევანდელ კოდექსშიც არაფერია ნათქვამი პრემიერის გადადგომის შესახებ, თუ ის კენჭს იყრის.

სოზარ სუბარი:

– თუმცა მინისტრებზე და პრეზიდენტზე მკაფიოდ წერია, რომ თუ ისინი კენჭისყრაში იღებენ მონაწილეობას, ისინი უნდა გადადგნენ. ახლა ხდება წარმოდგენილი ცვლილებების დაზუსტება და მეტი არაფერი. იქნება უფრო მკაფიო ფორმულირება, რომ არ გაჩნდეს ეჭვები და არ იყოს სპეკულაციების საგანი.

ინტერპრესნიუსი

პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობა 14 მაისს გაიმართება

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობა 14 მაისს გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, ყრილობაზე აირჩევა პარტიის თავმჯდომარე და დამტკიცდება პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

– პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ყრილობას წარედგინება გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა, – აცხადებენ პარტიაში.

ინტერპრესნიუსი

გია ჟორჟოლიანი: „კოალიცია არჩევნების შემდეგ შეიქმნება“

„სოციალ-დემოკრატები გადაწყვეტილებას მალე გამოვაცხადებთ“

ნათია ხურცილავა

სოციალ-დემოკრატი, პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში კოალიციაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო გია, რესპუბლიკური პარტიისა და ეროვნული ფორუმის გადაწყვეტილებამ ახალი პოლიტიკური რეალობა შექმნა. დაკარგავს თუ არა „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას?

– არა მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში უმრავლესობა დაკარგოს. ჯერ ერთი, ფორმალურადაც არ კარგავს და არც ისე, რადგანაც, როგორც ვიცით, უმრავლესობა საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი არის 88 დეპუტატით. ეროვნულ ფორუმს ჰყავს 6 დეპუტატი, რესპუბლიკურ პარტიას – 10 დეპუტატი. მე ვფიქრობ, რომ ეს პარლამენტი არჩევნებამდე მივა თავისი უმრავლესობით, ისე რომ, მას არ დასჭირდება არავითარი წყაროს გამოძებნა.

– ექსპერტები ამბობენ, რომ თუ უმრავლესობას დაკარგავს ხელისუფლება, მაშინ მთავრობას გაუჭირდება სრულყოფილი ფუნქციონირება.

– მე არ ვფიქრობ, რომ მოვლენები ასე განვითარდება, ამას გამორიცხავ, რადგან ამ მოწვევის პარლამენტს სულ რაღაც 5-6 სესია დარჩა ჩასატარებელი. ამდენად, არა მგონია, რომ ასე დრამატულად განვითარდეს მოვლენები.

– კოალიციის დაშლა და პარტიების ცალ-ცალკე არჩევნებში მონაწილეობა თქვენთვის რამდენად არის მისაღები?

– სავსებით მისაღებია, რადგან ყველამ კარგად იცის, რატომაც შეიქმნა კოალიცია თავის დროზე. დღეს სხვა რეალობაში ვიმყოფებით. მრავალპარტიული არჩევნები არის ნორმალური დემოკრატიული პროცესი. მე ვიტყოდი – არა ავტორიტარიზმს და წინ დემოკრატიისკენ.

ეს არის სიახლე, როდესაც ყველა პარტია, თავისი შეთავაზებებით გავა არჩევნებზე. ეს არის ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები და მათზე უარი არ უნდა ვთქვათ. ეს არის დემოკრატია. შემდეგ უკვე როგორ განვითარდება მოვლენები, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ამას დრო გვიჩვენებს.

– არ გამორიცხავთ, რომ არჩევნების შემდეგ პარლამენტში შეიქმნას ახალი კოალიცია?

– სწორედ ეს გითხარით, რომ არჩევნების შემდეგ შეიქმნას კოალიცია.

– რატომ, „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობის მოპოვება გაუჭირდება?

– არა, მე ეს არ მითქვამს, მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ მოიპოვებს უმრავლესობას, მაგრამ ალბათ მაინც შეიქმნება კოალიცია, თანამშრომლობის რეჟიმი იქნება, სადაც ნაციონალურ მოძრაობას პერსპექტივა არ ექნება, დანარჩენი ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ექსპერტები ამბობენ, რომ ბევრ პარტიას, რომლებმაც ცალკე მოინდომეს არჩევნებში მონაწილეობა, ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ. ეთანხმებით?

– არა, ბევრი პარტია გადალახავს საარჩევნო ბარიერს, შეიძლება დამოუკიდებლად და შეიძლება ვიღაცეებმა საარჩევნო ბლოკიც შექმნან. არჩევნების შემდეგ შექმნილი ერთობა გაცილებით უფრო მისაღებია და ეს არის უფრო დემოკრატიული.

– ეს უკვე იქნება საერთო პლატფორმის ერთობა?

– რა თქმა უნდა, არჩევნების შემდეგ პარლამენტში შექმნილი კოალიცია სწორედ თანხვედრი იდეოლოგიისა და პლატფორმის უნდა იყოს და არა – ეკლექტური და ჭრელი.

– ბატონო გია, თქვენ სად ხედავთ თქვენს მომავალს? „ქართული ოცნების“ სიაში იქნებით წარმოდგენილი თუ როგორ?

– პიროვნულად არ ვხედავ, სად ვიქნები და როგორ, მაგრამ ჩვენი პარტია ნამდვილად მიიღებს გადაწყვეტილებას და სოციალ-დემოკრატები 10-15 დღეში საზოგადოებას ჩვენს გადაწყვეტილებას აუცილებლად გავაცნობთ.

– ჯერ არ გაქვთ გადაწყვეტილი, დამოუკიდებლად მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას თუ არა?

– ჩვენ მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას და საზოგადოებას გავაცნობთ. ჯერ არ გვაქვს მიღებული გადაწყვეტილება და ისე რა გითხრათ.

– როგორია თქვენი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რათა არჩევნების წინ პრემიერმა და მინისტრებმა თანამდებობები არ დატოვონ?

– მე არ ვიცნობ ამ საკანონმდებლო ინიციატივას. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, მე მგონი, რომ დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს პრემიერს, რომ მან დატოვოს არჩევნებამდე თანამდებობა.

დავით ბაქრაძე: „ასე დინებაზე მიშვება ვერ დაგვაახლოებს ნატო-სთან“

ვარშავის სამიტისთვის საქართველოს მზადება გამოიხატება მხოლოდ თავდაცვის მინისტრისა და ევროინტეგრაციის მინისტრის ინდივიდუალურ მოქმედებებში, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ განუცხადა.

მისი თქმით, ამ დროისთვის არ არსებობს მთავრობის ერთიანი, გააზრებულად გაწერილი გეგმა, თუ რას აკეთებს საქართველო.

– ეს არის ძალიან საშიში, ვინაიდან ასე დინებაზე მიშვება ვერანაირად ვერ დაგვაახლოებს ნატოსთან და შესაძლოა პირიქით, დაგვაშოროს კიდეც. ამიტომ, აუცილებელია უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობამ დადოს ერთიანი, კარგად გააზრებული გეგმა, რას ველით ვარშავის სამიტისგან, როგორ ვუახლოვდებით ამ სამიტს, რომელი უწყება რით არის დაკავებული ამ პროცესში და რაც ყველაზე სასწრაფოა, რას ვთხოვთ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს.

ჩვენ თუ სასწრაფოდ არ დავიწყეთ მუშაობა ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, მე ვშიშობ, რომ ვარშავის სამიტიდან რეალურად საქართველო ვერაფერს მიიღებს, – განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, აუცილებელია მთავრობამ რაც შეიძლება სწრაფად ჩამოაყალიბოს ერთიანი გეგმა და ყველაფერი არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ორი მინისტრის ინდივიდუალურ მოქმედებებზე.

ინტერპრესნიუსი

„ნატო საქართველოში ერთი კვირით შევიდა“

რუსული გამოცემა კომერსანტი თბილისში მიმდინარე ნატოს კვირეულს ვრცელი მასალით ეხმაურება, რომლის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

საქართველოში „ნატოს კვირეული“ დაიწყო: თბილისსა და სხვა ქალაქებში დაგეგმილი ათზე მეტი ღონისძიების მიზანს, მოსახლეობაში ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების იდეის პოპულარიზება წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძება გახდა თბილისში გამართული ფორუმი სახელწოდებით „სახალხო დიპლომატია: ნატო და საქართველო“, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, საზღვარგარეთ ე.წ. „რუსული რბილი ძალის“ ნეიტრალიზების მეთოდებიც განიხილებოდა. „კომერსანტის“ მონაცემებით, ფორუმზე წამოაყენეს საერთაშორისო რუსულენოვანი ტელეარხის შექმნის იდეა, რომელიც რუსეთზე მაუწყებლობით იქნებოდა დაკავებული.

„ნატოს კვირეულის“ ფარგლებში გაიმართება სემინარები, შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, პრესკონფერენციები, ფილმების ჩვენება ნატოს შესახებ, უცხოელი სტუმრების ბრიფინგები. „კვირეულის“ პირველი ღონისძიება სწორედ ზემოთ ხსენებული ფორუმი „სახალხო დიპლომატია: ნატო და საქართველო“ გახდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საქმეთა სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძის პატრონაჟით.

ფორუმი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა და განაცხადა, რომ „საქართველო ნატოს ვარშავის სამიტიდან, რომლის ჩატარება მიმდინარე წლის ივლისშია დაგეგმილი, პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პროგრესს ელოდება“. პრემიერმა მადლობა გადაუხადა პარტნიორებს ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერისათვის და იმავდროულად გაახსენა, რომ „საქართველო როგორც ნატოში გაწევრიანების კანდიდატი, მიისწრაფის განამტკიცოს არსებული კავშირები, აქტიურად მონაწილეობს ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში, ყველა საერთაშორისო მისიებში და მზადაა კიდევ უფრო გააქტიუროს ძალისხმევა“. თავის მხრივ, ნატოს გენმდივნის მოადგილემ ტედ უაიტსაიდმა პრემიერი დაარწმუნა, რომ „ბრიუსელში საქართველოს აქტიურობას ხედავენ და აფასებენ“.

ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო „სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესება“ როგორც ეფექტური მეთოდისა „მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ბრძოლაში“. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „რუსული პროპაგანდისადმი“ წინააღმდეგობის გაწევას, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში. „რბილი ძალის“ პრობლემა და „რუსული გავლენის“ საკითხი – როგორც ალიანსის წევრ-სახელმწიფოებში, ასევე კანდიდატ-ქვეყნებში, ფორუმზე საკმაოდ დიდხანს განიხილებოდა“, – განაცხადა „კომერსანტთან“ საუბარში თორნიკე ნოზაძემ, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. „ჩვენ ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ უნდა გავცეთ პასუხი ამ გამოწვევას და როგორ უნდა მოვახერხოთ რუსული საფრთხის ნეიტრალიზება“, – ხაზი გაუსვა თორნიკე ნოზაძემ და დაიჩივლა, რომ რუსეთი მედიასივრცეში „ავთვისებიან ყალბ და ცრუ ინფორმაციებს, მითებს ავრცელებს“. „ჩვენ მოვილაპარაკეთ ერთობლივად ვიმოქმედოთ, მათ შორის მედიაკამპანიების ერთობლივად წარმართვაზე, რუსული პროპაგანდის მიერ გავრცელებული მითების უარყოფის მიზნით“, – აღნიშნა ჩინოვნიკმა და დაასახელა ის ქვეყანა, რომელსაც ამ სფეროში ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს – ესტონეთი.

– ესტონელია კოლეგები ფორუმზე მოგვიყვნენ, თუ როგორ შექმნეს მათ რუსულენოვანი ტელევიზია. ანალოგიური საპასუხო ნაბიჯები იგეგმება აგრეთვე სხვა სახელმწიფოების მიერაც, – აღნიშნა თორნიკე ნოზაძემ.

„კომერსანტის“ მონაცემებით, „ფორუმზე“ განიხილეს აგრეთვე „ერთიანი და მასშტაბური ევროპული რუსულენოვანი ტელეკომპანიის“ შექმნის იდეა, რომლის მაუწყებლობა ძირითადად რუსეთზე იქნება გამიზნული.

ნიუსპრესი

ზვიად კვაჭანტირაძე: „გიორგი კვირიკაშვილი იქნება პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი“

გიორგი კვირიკაშვილი იქნება პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების მოტივაციაც ძირითადად ეს არის, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ საარჩევნო კოდექსში შესატანი იმ ცვლილებების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობიდან გადადგომა აღარ მოეთხოვება, თუ იგი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად იქნება წარდგენილი. ზვიად კვაჭანტირაძე:

– ჩვენ გვაქვს განზრახვა, რომ ბატონი გიორგი კვირიკაშვილი, ალბათ, ძალიან მალე ოფიციალურად დაიკავებს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტს. რა თქმა უნდა, აქ დასამალი რა არის. მოტივაციაც გასაგებია ყველასთვის.

იგი იქნება ჩვენი გუნდის ლიდერი, ჩვენი კოალიციის ლიდერი. რაც არ უნდა კომენტარი გაკეთდეს ამაზე მომავალ არჩევნებამდე, იგი იქნება პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი და თავისთავად ამ საკანონმდებლო ინიციატივის მოტივაციაც ძირითადად ეს არის, – განაცხადა კვაჭანტირაძემ და დასძინა, რომ ცვლილებებთან დაკავშირებით არგუმენტებს ის განხილვების დროს წარმოადგენს.

ინტერპრესნიუსი

გოგლა ჟვანია: „კოალიციიდან გასულ პარტიებს დამოუკიდებლად ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ“

„ქართული ოცნების“ წევრი გოგლა ჟვანია მიიჩნევს, რომ პარტიებს, რომლებმაც კოალიცია დატოვეს, არჩევნებში ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ. ამის შესახებ გოგლა ჟვანიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, კოალიციურ რეჟიმში მუშაობის დროს, ხშირ შემთხვევაში უკანა პლანზე იყო გადაწეული პარტიული ინტერესები.

გოგლა ჟვანია:

– დადგა ახალი რეალობა და უნდა მივიდეთ არჩევნებზე. ჩემი აზრით, პარტიები, რომლებიც გავიდნენ კოალიციიდან, დამოუკიდებლად ყველას გაუჭირდება ბარიერის გადალახვა, მაგრამ შეიძლება დაჯგუფდნენ თავისი ორიენტაციების, მისწრაფებების მიხედვით და ისე გავიდნენ არჩევნებზე. ამ რეალობაში მართლაც შეიძლება კარგი პარლამენტი მივიღოთ.

პარლამენტში შესული პოლიტიკური ძალები, თუ საჭირო იქნება, გავერთიანდებით უმრავლესობებში, უმცირესობებში, სხვადასხვა თემების გარშემო, ეს არის ნორმალური პროცესი.

რაც შეეხება საარჩევნო სიას, დეპუტატი აცხადებს, რომ ჯერჯერობით სია ჩამოყალიბებული არ არის.

– უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება სიები და ის ყველასთვის გახდება ცნობილი, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მეტროს თანამშრომლებს მილიონი ლარი გამოუყო

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მეტროს თანამშრომლებისთვის მილიონი ლარი გამოყო. აღნიშნულთან დაკავშირებით „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ განცხადებას ავრცელებს.

– მოლაპარაკებები კომპანიის მენეჯმენტსა და მეტროს პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს შორის დაიწყო გასული წლიდან და ამ ეტაპზე კომპანია მზად არის დასაქმებულებს გადაუხადოს დანამატი მათი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, მას შემდეგ, რაც შეთანხმდება გადახდის პირობები და ტექნიკური საკითხები, – ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება მემანქანეების მხრიდან წამოსულ დამატებით მოთხოვნებს ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, კომპანია აცხადებს, რომ მეტროს მემანქანეების სახელფასო განაკვეთი შედგება საათობრივი ანაზღაურებისგან, ასევე მავნე და მძიმე პირობების დანამატის, დღესასწაულებზე და ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს, კლასის (თანრიგის) დანამატის, ასევე მეცამეტე ხელფასისა და სააღდგომო პრემიისგან.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აქვე წარმოგიდგენთ მეტროს მემანქანეების საშუალო ხელფასებს:

დეპოს მორიგე – 1.455 ლარი; დეპოს მანევრის მემანქანის თანაშემწე – 981 ლარი; დეპოს მანევრის მემანქანე – 1.300 ლარი; მემანქანე ინსტრუქტორი – 1.986 ლარი; ხაზის მანევრის მემანქანე – 1.300 ლარი; ხაზის მემანქანე – 1.731 ლარი; ხაზის მემანქანის თანაშემწე – 1.096 ლარი;

თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ასევე გაფორმებული აქვს კოლექტიური ხელშეკრულება საწარმოში დასაქმებულთა გაერთიანებებთან (პროფესიულ კავშირებთან), რომელიც მიზნად ისახავს კომპანიაში დასაქმებულთა სოციალური და შრომითი პირობების გაუმჯობესებას და სოციალური პარტნიორობის პრინციპის დანერგვას.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებების წევრებს კომპანია დამატებით უნაზღაურებს ერთჯერად ხარჯებს: დაოჯახების შემთხვევაში – 250 – 400 ლარი + დამატებით 10 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება; დასაქმებულ ქალთათვის ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 375 – 700 ლარი + დამატებით ორი თვის სახელფასო ანაზღაურება; ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში – 250 -375 ლარი + დამატებით 5 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება; თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში – 1.000 ლარიანი დახმარება ოჯახს; კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს უფასო მგზავრობით (მეტრო, ავტობუსი) და კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევით.

სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულია 6.000-მდე თანამშრომელი, რომელთა საერთო სახელფასო განაკვეთი შეადგენს კომპანიის საერთო შემოსავლების 65%-ს. აქედან გამომდინარე კომპანია არ განიხილავს დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფისთვის (მემანქანეები) ანაზღაურების გაზრდას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას სხვა თანამშრომლებში, შესაბამისად ხელფასის მატება ყველა დასაქმებულისთვის საჭიროებს საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია.

თავის მხრივ, სატრანსპორტო კომპანია მოუწოდებს მეტროს მემანქანეებს, უფრო მეტად გაითავისონ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ გააჩნიათ საზოგადოების წინაშე და ზუსტად გააანალიზონ ის შედეგები, რაც მოყვება მათ გაფიცვას, რომელიც გამოიწვევს ქალაქის სატრანსპორტო ქსელის მნიშვნელოვან შეფერხებას, ვინაიდან თბილისის მეტროთი ყოველდღიურად 300 ათასამდე მგზავრი სარგებლობს.

ბიბიენი

ნუ დაუჯერებთ არარეალურ პროცენტებს

თანხის ჩადება ორგანიზაციაში, რომელზეც ეროვნული ბანკი პასუხისმგებლობას იხსნის, რისკების შემცველია

ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ გამაფრთხილებელ განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებიც“ უერთდება.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ეროვნული ბანკის გაფრთხილება რეალური პრობლემის არსებობაზე მიუთითებს.

– ჩვენ გვახსოვს სარეკლამო რგოლები, რომლებშიც კომპანიები მომხმარებლებს არარეალურ პროცენტს სთავაზობენ. ზოგჯერ კარგი, წარმატებული ბიზნესი არ დატოვებს ისეთ შემოსავალს, როგორსაც ისინი მოქალაქეებს პირდებიან. მომხმარებლის გადასაწყვეტია, თუ სად და როგორ დააბანდებს საკუთარ დანაზოგს, მაგრამ თანხის ჩადება ორგანიზაციაში, რომელზეც ეროვნული ბანკი პასუხისმგებლობას იხსნის, რისკების შემცველია, – აცხადებს გიორგი კეპულაძე.

მისი თქმით, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების ჩამონათვალში, არსებული მონაცემებით, მხოლოდ ერთი მიკროსაფინანსო ფიქსირდება.

კეპულაძის განცხადებით, იურიდიული პირი, რომელიც თანხებს მოიზიდავს 400-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, ან მათ მიერ მოზიდული თანხა აღემატება 5 მილიონ ლარს, ვალდებულია, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს კრიტერიუმები.

– საქართველოში რეგისტრირებული კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების ჩამონათვალში მხოლოდ ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის იურიდიულ პირებთან, შესაძლოა, წარმოიქმნას სხვადასხვა სახის პრობლემები და მათზე პასუხისმგებლობას ეროვნული ბანკი არ იღებს.

მსგავს შემთხვევებში, დიდია ალბათობა იმისა, რომ მომხმარებლებმა ვერ მიიღონ სარგებელი და გაცემული თანხაც კი დაკარგონ. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მოვუწოდებ მოქალაქეებს, არ ენდონ ისეთ იურიდიულ პირებს, რომლებიც არ რეგულირდებიან, არ რეგისტრირდებიან და რომლებზეც პასუხისმგებლობას არავინ იღებს, – აღნიშნა გიორგი კეპულაძემ.

ეროვნული ბანკის გამაფრთხილებელი განცხადება გუშინ, 5 აპრილს, გავრცელდა.

როგორც მასშია ნათქვამი, ბოლო პერიოდში გახშირდა სხვადასხვა იურიდიული პირების მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის ან თამასუქის სახით მოზიდვის რეკლამირება.

დაბანდებული თანხების დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, ეროვნული ბანკი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება. თანხის დაბანდებამდე კი აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს ასევე მაღალ რისკს.

ქრისტინე გამთენაძე, ბიბიენი

„გირჩმა“ და პატრიოტთა ალიანსმა გასულ 3 თვეში ყველაზე მეტი შემოწირულობა მიიღეს

2016 წლის პირველი სამი თვის [იანვარ-მარტი] განმავლობაში საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა 428.476 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღეს ფიზიკური პირებისგან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობს, რომ მიღებული თანხების თვალსაზრისით ლიდერობს ახალი პოლიტიკური ცენტრი (გირჩი), მეორე ადგილზე პატრიოტთა ალიანსია, ხოლო მესამეზე – კიევის ყოფილი მერის, ლეონიდ ჩერნოვეცკის ორგანიზაცია „ბედნიერი საქართველოსთვის“.

რესპუბლიკურ პარტიას შემოწირულობები საწევროების წესით აქვს მიღებული. პატრიოტთა ალიანსის ყველაზე მსხვილი შემწირველი ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯიაა, რომელიც პარტიას 49.000 ლარით დაეხმარა. პარტიას 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდში, ჯამში, 41 ათასი ლარი შესწირა ბიზნესმენმა (შპს ტაიას წილის 50%-ის მფლობელი) გიორგი მორგოშიამ. მოქალაქე ქეთევანი შენგელია პარტიას 19500 ლარით დაეხმარა.

60.000 ლარი შესწირა „გირჩს“ ბიზნესმენმა მილერი გვენეტაძემ. ხოლო ტიტე ერგემლიძემ – 59.958 ლარი.

ლეონიდ ჩერნოვეცკის პარტიას ფულს მისი შტაბის ხელმძღვანელი გიორგი ქვრივიშვილი სწირავდა, რომელიც მანამდე მისი საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელიც იყო.

„ქართული ოცნების“ ანგარიშზე 10.000 ლარი შეიტანა ბიზნესმენმა გიორგი ხარებაშვილმა. ასევე ალექსანდრე ალხაზიშვილმა.

საკუთარი პარტიების ანგარიშზე თანხები შეჰქონდათ ცნობილ პოლიტიკოსებსა და პარლამენტის წევრებს, მათ შორის, გიორგი ბარამიძეს, დავით უსუფაშვილს, ხათუნა გოგორიშვილს, გიორგი ხაჩიძეს, დავით ბაქრაძეს, სერგო რატიანს. კონსტანტინე კუბლაშვილმა „გირჩს“ შესწირა 3.000 ლარი.

ნეტგაზეთი

როდის დატოვა ნოდარ ჯავახიშვილმა ეროვნული ფორუმი

ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრმა, როგორც პოლიტიკური პარტია ეროვნული ფორუმის წევრმა, პარტიის მიერ კოალიციისა და უმრავლესობის რიგებიდან გასვლის გამო მინისტრის თანამდებობა უნდა დატოვოს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოეხმაურა.

სამინისტროს ცნობით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი არც ერთი პარტიის წევრი არ არის. მათივე ცნობით, ნოდარ ჯავახიშვილმა „ეროვნული ფორუმი“ ჯერ კიდევ 2011 წელს დატოვა.

ეროვნულმა ფორუმმა კოალიცია რამდენიმე დღის წინ დატოვა. გადაწყვეტილება პარტიამ 3 აპრილს გამართულ ყრილობაზე მიიღო. არჩევნებზე დამოუკიდებლად გასვლას 561 დელეგატიდან მხოლოდ 10-მა არ დაუჭირა მხარი.

ნიუსპრესი

გია ხუხაშვილი: „ნაციმოძრაობა კოალიციაზე იფიქრებს პოსტსაარჩევნო პერიოდში და არა საარჩევნოდ“

საარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობა კოალიციებზე იფიქრებს უკვე პოსტსაარჩევნო პერიოდში და ამისთვის შეამზადებენ ახლა სიტუაციას და არა საარჩევნოდ, – ამის შესახებ პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა ნაციონალური მოძრაობის მიერ კოალიციის შესაძლო შექმნასთან დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას განუცხადა.

როგორც ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ნაციონალურ მოძრაობა, პოლიტიკურ ძალებში გარკვეულწილად კეთროვანად განიხილება და საარჩევნო პოტენციალის მქონე პარტიებისთვის, მასთან ალიანსი მისაღები არ უნდა იყოს.

– თვითონ ნაციონალურ მოძრაობასაც ასეთი ტიპის ალიანსები არაფერს მოუმატებს. ვფიქრობ, მათ გეგმებში ხელისუფლების დაბრუნება არც არის. მათ გეგმებში არ არის გამარჯვება. მათ გეგმებში არის „ქართული ოცნების“ დამარცხება. ისინი შეეცდებიან „ქართული ოცნების“ მაქსიმალურად დასუსტებას, რათა ის შორს იყოს ხელისუფლებაში საკონტროლო პაკეტის მიღებისგან. ასეთ ვითარებაში ნაციონალურ მოძრაობას მანევრის საშუალება ეხსნება, უკვე პოსტსაარჩევნო პერიოდში, ან რაიმე კრიზისის მეშვეობით, ან უკვე საპარლამენტო პარტნიორების ძებნით, პრობლემები შექმნან ხელისუფლების ბალანსთან დაკავშირებით. ისინი ასეთი ტიპის კოალიციებზე იფიქრებენ უკვე პოსტსაარჩევნო პერიოდში და ამისთვის შეამზადებენ ახლა სიტუაციას და არა საარჩევნოდ, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

პოლიტოლოგი ასევე მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში აუცილებლად მოხვდება, რადგან პარტიას სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს, თუმცა რა პროცენტული მაჩვენებელი ექნება მას, ეს ამომრჩევლის აქტივობაზეა დამოკიდებული.

ნაციონალური მოძრაობის შესაძლებლობები ზოგადად ძალიან შეზღუდულია. 2012 წელს ამ პოლიტიკურ ძალას ამომრჩეველმა ვერდიქტი გამოუტანა, ის ეჭვმიტანილია სისტემურ დანაშაულში, შესაბამისი პოლიტიკური სასჯელი ჯერ არ მოუხდია და შესაბამისად ვფიქრობ, სახელისუფლებო ამბიციებზე საუბარი ზედმეტია, ყოველ შემთხვევაში, ამ ციკლში ნამდვილად.

მას თავისი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს, არის საკმაოდ კარგად აწყობილი პარტია და ამ რესურსით ის, რა თქმა უნდა, პარლამენტში მოხვდება. ამომრჩევლის აქტივობიდან გამომდინარე, მათი შედეგი ალბათ 10-დან 20%-მდე იქნება. რაც უფრო დაბალი იქნება აქტივობა, მათი შედეგი იქნება უფრო მაღალი, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გია ხუხაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ილია II: „აგრესია და ომები, რომლებიც დღეს მძვინვარებს, ბოლო ჟამის სიახლოვეზე მეტყველებს“

ათონის მთიდან საქართველოში ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი ჩამოაბრძანეს. მისი მოლოცვა მრევლს მახათას მშენებარე ტაძარში შეუძლია. ხატი სპეციალურად მახათაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრისთვისაა დაწერილი.

პატრიარქმა ილია II-მ მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძარში პარაკლისი გადაიხადა და შეკრებილ საზოგადოებას ქადაგებით მიმართა.

– ვხედავთ, როგორ ძლიერდება აგრესია, როგორი საშიში გახდა ცხოვრება... ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მიზეზი ჩვენს თავში უნდა ვეძიოთ. აგრესია და ომები, რომლებიც დღეს მსოფლიოში მძვინვარებს, იმაზე მეტყველებს, რომ ბოლო ჟამი ახლოსაა. შევთხოვოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას, რომ მოიღოს წყალობა და ცხოვრება დაამშვიდოს, – ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ქადაგებისას.

ნიუსპრესი

ანზორ აბრალავა: „ამომრჩეველს მოუწევს არჩევანის გაკეთება რეგიონში შექმნილი უმძიმესი ვითარების გათვალისწინებით“

„პარლამენტში კრიზისის შესაქმნელად დრო აღარ რჩება“

მარიამ მჭედლიშვილი

ყოფილი დეპუტატი, ორგანიზაცია „სოლიდარობის“ ლიდერი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმ ახალ რეალობაზე, რომელიც შეიქმნა არა მარტო მმართველი კოალიციის დაშლით, არამედ საგარეო გამოწვევებით.

ანზორ აბრალავა:

– „ქართული ოცნების“ კოალიციის დაშლა პოზიტიური მოვლენაა. ჯობია, ყველა პარტიამ დამოუკიდებლად მოსინჯოს ძალები არჩევნებზე. შეიქმნა კლასიკური სიტუაცია, როცა პარტიები ცალ-ცალკე გადიან არჩევნებზე, შემდეგ კი გამარჯვებულები პრინციპების საფუძველზე ერთიანდებიან კოალიციაში. 2012 წელს სხვები საკანონმდებლო ორგანოში მოხვდნენ ბიძინა ივანიშვილის პარტიის ხარჯზე. ზოგიერთ მათგანს გადაჭარბებული და შეუფერებელი ამბიციები გაუჩნდა. ზოგი ახლა აკეთებს გაუგებარ განცხადებებს იმაზე, რომ ყოველთვის მთავრობის მხარდამჭერი იქნება. იქნებ, მთავრობის რომელიმე გადაწყვეტილება მათ იდეოლოგიას ეწინააღმდეგება, მაშინ, რა უნდა ქნან? ძალიან რთული სიტუაციაა შექმნილი ჩვენ გარშემო. თუნდაც ერთი წლის წინ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო. ამ სიტუაციაში ამომრჩეველმა უნდა გაიაზროს, რა უნდა.

– მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებას გულისხმობთ?

– ამასაც და ზოგადად შექმნილ სიტუაციასაც. საქართველო ამ გამოწვევებს შესაბამისად უნდა შეხვდეს. როცა საჭიროა, რეაგირება უნდა მოახდინოს პარლამენტმა. მთავრობის წევრებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და დროული გადაწყვეტილებები. საერთოდ, ხელისუფლებაში უნდა იყვნენ კვალიფიციური და ამ პრობლემებში გარკვეული ადამიანები.

– კვალიფიკაციის პრობლემაზე მუდმივად მიდის საუბარი.

– იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ხშირად მოდიან გამორჩენისათვის და არა სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის. პარტიების უმრავლესობას მერკანტილური მიზნები აქვს. ბევრი პოლიტიკოსის ამოცანაა საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა.

– მოსახლეობას როგორ ძალაზე აქვს მოთხოვნა?

– ალბათ, მოსახლეობა ახალ გამოწვევებს გაითვალისწინებს. მხარდაჭერა ექნება იმ ძალას, რომელიც სახელმწიფოებრიობის გამტკიცების, ასევე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამას დადებს. ყველაზე დიდი მხარდაჭერა ისევ ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართულ ოცნებას“ აქვს. სააკაშვილისა და მისი პარტიის ხელისუფლებიდან ჩამოცილება პირველი ეტაპის მთავარი ამოცანა იყო. რამდენიმე თვეში დგება ახალი ეტაპი. კიდევ ერთი დიდი პრობლემაა ის, რომ ჩვენთან მიდის არა პოლიტიკური პაექრობა, არამედ, გააფთრებული ბრძოლა.

– გააფთრებულ ბრძოლაში რას გულისხმობთ?

– პოლიტიკური არენიდან წასული პარტიის საბრძოლო რიტორიკას. მისი ლიდერების განცხადებებს იმაზე, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ. არადა, კრიზისი უდგათ. განცხადებები იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდება, ნიშნავს რევოლუციურ რეჟიმში გადასვლას. ნაციონალური მოძრაობა ტაშით შეხვდა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის ჯოზეფ დოლის განცხადებებს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიცემის საქმეში დაბრკოლებების არსებობის შესახებ. მათი ლოგიკით, თუ ნაციონალური მოძრაობა არ იქნა მმართველი პარტია, ევროპა ვიზალიბერალიზაციას არ მოგვცემს.

– საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შემთხვევაში მოსალოდნელია პოლიტიკური კრიზისი?

– არა. ჯერ ერთი, ძალიან ცოტა დროა არჩევნებამდე დარჩენილი. კრიზისისთვის დროც არ რჩება. მეორეც, კოალიციიდან გასული, უფრო სწორად, გაშვებული პარტიები ისე დაპირისპირებული არ არიან ხელისუფლებასთან, რომ რაიმე პრობლემები შექმნან. ამ ძალებთან „ქართულმა ოცნებამ“ დატოვა სამომავლოდ თანამშრომლობის შესაძლებლობა. რესპუბლიკელების რადიკალურად გაოპოზიციონერებას შეიძლება კომიკური შედეგებიც კი მოჰყვეს.

– კერძოდ?

– პარლამენტის რესპუბლიკელი თავმჯდომარე როგორ დაუპირისპირდება მთავრობას, როცა ერთ-ერთი მინისტრი მისი მეუღლე და თანაპარტიელია? დღეს საქართველოში არც არიან ისეთი ძლიერი და ჩამოყალიბებული პარტიები, რომ ხელისუფლებასთან სერიოზული ოპონირება შეძლონ. ბოლო დროს ხელისუფლებას არასამთავრობო ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა წააგეს. ამ არასამთავრობოებს უნდოდათ, ამ ხელისუფლებისათვის გადაებრალებინათ ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. ყველამ იცის, რომ ფარულ კადრებს სააკაშვილის რეჟიმი იღებდა. მათი მოთხოვნებიც არაადეკვატური იყო. მათ მოითხოვეს კადრების გამავრცელებლების დაუყოვნებლივ დასჯა და საქმის სასწრაფოდ გამოძიება. რაც, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში შეუძლებელია.

„გაშვებული პარტიები ხელისუფლებას პრობლემებს ვერ შეუქმნიან“

დავით აღმაშენებლის გამზირზე 300-მეტრიანი მონაკვეთი საფეხმავლო იქნება



დავით აღმაშენებლის გამზირზე 300-მეტრიანი მონაკვეთი საფეხმავლო იქნება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს დღეს აღმაშენებლის გამზირზე „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორმა გიორგი ბაიდარაშვილმა განუცხადა.

გიორგი ბაიდარაშვილის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები აღმაშენებლის გამზირზე 45 მისამართზე მიმდინარეობს. მისი განცხადებით, შენობების რეაბილიტაციასთან ერთად მიმდინარეობს საკომუნიკაციო-საინჟინრო ქსელის სრული განახლება, რის შემდეგაც მოეწყობა ქუჩა და შეიცვლება საფარი, განათება და აქსესუარები.

– გვაქვს სერიოზული განზრახვა, რომელსაც ახლა ვტესტავთ, რათა ქუჩა გახდეს საფეხმავლო, რადგან თბილისში არ გვაქვს საფეხმავლო ქუჩა. რაც ტურისტებისათვის უფრო მიმზიდველი იქნება. საუბარია 300-მეტრიან მონაკვეთზე, წერეთლების ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე, – განაცხადა თბილისის განვითარების ფონდის დირექტორმა.

გიორგი ბაიდარაშვილის თქმით, ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე ინფრასტრუქტურულად ბევრი საინტერესო ძეგლია. შენობების პირველ სართულებზე და ასევე დაბალი განაშენიანების მეორე სართულზე შესაძლოა გაკეთდეს კაფეები, რესტორნები, სასტუმროები და სხვა ტურისტულად საინტერესო ობიექტები. მისივე განცხადებით, მთლიანად დავით აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციაზე 28 მილიონი ლარი დაიხარჯება. სამუშაოები 5 თებერვალს დაიწყო და პროექტი მთლიანად წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

შალვა რამიშვილი: „იმედთან“ ჩემი საქმიანი ურთიერთობა დასრულდა“

შალვა რამიშვილსა და ტელეკომპანია „იმედს“ შორის საქმიანი ურთიერთობა დასრულებულია. ამის შესახებ რამიშვილი ფეისბუკზე წერს:

შალვა რამიშვილი:

– „იმედთან“ ჩემი საქმიანი ურთიერთობა დასრულდა.

დღეს იმ კომპანიამ, რომელიც „იმედის“ დაკვეთით ამზადებს „ილო ბეროშილის შოუს“, „ერთხელ საქართველოში“, ეთერში ჯერ არ გასულ სერიალს „2 გოგოს“ უზრუველყოფს ჩემს მონაწილეობას გადაცემა „პოლიტიკაში“ „იმედისაგან“ მიიღო წერილი, რომ ყველა ხელშეკრულება შეჩერებულია. მიზეზი ახსნილი არ არის.

შესაბამისად, ამ პარასკევს მე ვერ წავიყვან თეონასთან ერთად „პოლიტიკას“ . კვირას ვერ გავა „ილო ბეროშვილის შოუ“, ჩერდება გადაღების პროცესში მყოფი ახალი სერიალი.

ვაპირებ ვითარების გარკვევას.

შალვა რამიშვილი „იმედამდე“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა, მანამდე გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბში. შალვა რამიშვილს გარდა „იმედის“ უმუშავია ტელეკომპანია „მაესტროზე“, 202-ზე, რადიო 105-ზე.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა. როგორც აზერბაიჯანული პრესა იტყობინება, უწყების განცხადებით, საბრძოლო მოქმედებები კონფლიქტის ზონაში მხარეების შეთანხმებით შეწყდა.

– აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები გათავისუფლებულ ტერიტორიებზე გამაგრებით სამუშაოებს ახორციელებენ, – ნათქვამია აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

მანამდე, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ე.წ. თავდაცვის უწყებამ გააკეთა.

ინტერპრესნიუსი

სასამართლომ ე.წ. „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია პატიმრობაში დატოვა

„კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია პატიმრობაში რჩება. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნინო ქადაგიძემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ ტარიელ ფოცხვერია საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლებულიყო.

ადვოკატები ტარიელ ფოცხვერიას გათავისუფლებას იმ მოტივით ითხოვდნენ, რომ ის მძიმედ არის დაავადებული და მისი პატიმრობაში ყოფნა აქედან გამომდინარე დაუშვებელია.

ადვოკატების სარჩელის მოპასუხე მხარეები იყვნენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ორ უწყებას ერთობლივი კომისიის ფარგლებში დაევალათ ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

❖ ❖ ❖

– სახეზეა ტარიელ ფოცხვერიას დისკრიმინაცია, – ამის შესახებ ე.წ. კანონიერი ქურდობისთვის მსჯავრდებულ ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა სააპელაციო სასამართლოს მიერ ფოცხვერიას გათავისუფლების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ განაცხადა.

გაგი მოსიაშვილის თქმით, ყველა მედიკოსმა, რომელიც ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობას იცნობს, სასამართლოში დაადასტურა, რომ ის უმძიმესი დაავადების მქონეა.

გაგი მოსიაშვილი:

– ჩვენ ვითხოვდით, რომ კომისიას, რომელიც მუდმივად აჭიანურებს ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობის განხილვას, სასამართლომ დაავალოს გამოსცეს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი ტარიელ ფოცხვერიას გათავისუფლების შესახებ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

დადასტურებულია ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობის იმგვარი ფაქტი, რაც მისი გათავისუფლების წინაპირობაა. თუმცა ამ გადაწყვეტილებას კომისია აჭიანურებს და არ იღებს. სახეზეა ტარიელ ფოცხვერიას დისკრიმინაცია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, სასამართლოს დისკრიმინაციის კუთხით მივმართოთ და მოვითხოვოთ, რომ არ მოხდეს როგორც ტარიელ ფოცხვერიას, ისე არც ერთი ნებისმიერი პირის შემთხვევაში ამგვარი სახის დისკრიმინაცია.

ინტერპრესნიუსი

რუსთავში ქმარმა ცოლი ხალხის თვალწინ ღია აუზში ჩააგდო

გუშინ, 5 აპრილს, დაახლოებით 11 საათისთვის რუსთავში, სასტუმრო „რუსთავის“ ტერიტორიაზე მამაკაცმა ქალი ღია აუზში ჩააგდო. ინფორმაციას ამის შესახებ ინფო რუსტავი ავრცელებს:

– დაახლოებით 11 საათისთვის სასტუმრო „რუსთავი“-ს ტერიტორიაზე ცოლ-ქმარი მცირეწლოვან შვილთან ერთად გზაზე მიდიოდნენ და თან კამათობდნენ. ჩხუბის დროს ქმარმა მეუღლეს ხელი მოკიდა და სასტუმროს წინ განთავსებულ ღია აუზში ჩააგდო.



ქალბატონი აუზიდან მალევე ამოიყვანეს, ადგილზე რამდენიმე წუთში საპატრულო პოლიციის და სასწრაფო სამედიცინოს დახმარების ეკიპაჟები მივიდნენ. დაახლოებით 25 წლამდე მამაკაცი დააკავეს და მეუღლესთან ერთად დაკითხვაზე გადაიყვანეს.

ფაქტთან დაკავშირებით შსს-ში კომენტარს ოდნავ მოგვიანებით გააკეთებენ, რის შემდეგაც გახდება ცნობილი, იყო თუ არა ძალადობა ქალზე და რა ზომებს მიმართეს სამართალდამცავებმა, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოსტნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

პუტინი და პოროშენკო ფულს ერთად შოულობენ

რა გავლენას იქონიებს კორუფციული სკანდალი რუსეთსა და უკრაინაზე

საგამომძიებლო ჟურნალისტიკის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გამომზეურებულმა ფაქტებმა გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია.

პუტინის უახლოესი გარემოცვის კორუფციულ სქემებში მონაწილეობა დამტკიცდა. რუსებთან ერთად კორუფციულ სქემებში აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინის ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლები, კერძოდ, პრეზიდენტი პოროშენკო, ოლიგარქები ახმეტოვი და ფირტაში, უკრაინის ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელი გონტარევა და ა.შ.

დამტკიცდა, რომ გონტარევა მჭიდროდაა დაკავშირებული ბანკ „როსიასთან," რომლის მეშვეობითაც პუტინი და მისი გარემოცვა კორუფციულ სქემებში მონაწილეობდნენ.

რუსეთი და უკრაინა დღეს „ჰიბრიდული ომის" მდგომარეობაში არიან. დონბასში ლოკალური ხასიათის შეტაკებები არ წყდება. მიუხედავად ამისა, რუსეთ-უკრაინის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები კორუფციულ სქემებში ერთად მონაწილეობენ და დიდძალ ფულსაც შოულობენ. ამ ფაქტმა მთელ უკრაინაში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

– მოვითხოვ პრეზიდენტ პოროშენკოსთვის იმპიჩმენტის გამოცხადებას, – ეს სიტყვები უკრაინის პარლამენტის დეპუტატსა და რადიკალური პარტიის ლიდერ ოლეგ ლიაშკოს ეკუთვნის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კორუფციული სკანდალი უკრაინაზე დიდ გავლენას იქონიებს. მიზეზი მარტივია: უკრაინა კორუფციული სახელმწიფოა, მაგრამ ეს სახელმწიფო ბევრად სუსტია (განსაკუთრებით, ევრო-რევოლუციის შემდეგ), ვიდრე საზოგადოება. აღსანიშნავია მეორე ფაქტორიც: ევრო-რევოლუციამ უკრაინა ძირეულად შეცვალა. ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვმა 68 პროცენტს მიაღწია, ევროკავშირში შესვლა კი 74 პროცენტს სურს. მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს არ სურს, კორუფციულ ოლიგარქიულ სახელმწიფოში იცხოვროს და მზადაა, საამისოდ აქტიურად იბრძოლოს.

უკრაინაში ცვლილებები მომწიფდა. საგამომძიებლო ჟურნალისტური კორპორაციის მიერ გამომზეურებული ფაქტებიც ამას ხელს შეუწყობენ.

განსხვავებული ვითარებაა რუსეთში. ვლადიმერ პუტინის მეთაურობით იქ კორუფციული, ოლიგარქიული და ჩეკისტური სახელმწიფო აშენდა. ეს სახელმწიფო ბევრად ძლიერია, ვიდრე სამოქალაქო შეგნება. ამიტომაც ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ეს ფაქტები რუსეთის პოლიტიკაზე გავლენას არ იქონიებს.

– რუსეთის ძალოვანი სტრუქტურები სიტუაციას ფლობენ და ნებისმიერ პროტესტს ჩაახშობენ; რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა ინფორმაციას ტელევიზორიდან იღებს, ტელევიზიები კი პუტინის კონტროლქვეშაა; რუსეთის მოქალაქეთა 66 პროცენტისთვის პუტინი იმპერიის ამაღორძინებელი და ყირიმის დამბრუნებელია, ამიტომაც მას აპატიებენ ისეთ წვრილმანს, როგორიც კორუფციაა, – ამბობს პოლიტოლოგი დიმიტრი ორეშკინი.

რუსული დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე და ფონდ „ინდემის" ხელმძღვანელი გიორგი სატაროვი განსხვავებულ პოზიციაზე დგას. ის მიიჩნევს, რომ ჟურნალისტთა კორპორაციის მიერ გამომზეურებული მასალა რუსეთის საგარეო პოზიციებს მნიშვნელოვნად შეარყევს. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, აქ სიტუაცია განსხვავებულია.

– საბოლოოდ ეს მასალები გახდება ერთ-ერთი ფაქტორი პუტინის ხელისუფლებიდან წასასვლელად, თუმცა საამისოდ აუცილებელია დრო. დღეს ამას მხოლოდ პუტინის რეიტინგის რამდენიმე ხნით კლება მოჰყვება, – ამბობს სატაროვი.

❖ ❖ ❖

კრემლი ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გამოქვეყნებულ მასალას სწრაფად გამოეხმაურა. პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა მას ცილისწამება უწოდა.

– ამ მასალაში დამახინჯებულია ფაქტები! ესაა დეზინფორმაცია! ამის უკან დგანან ძალები, რომლებიც პუტინოფობიით არიან დასნეულებულნი, – თქვა პესკოვმა.

ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ რუსეთი ასეთ დეზინფორმაციის გავრცელების გამო სასამართლოში არ იჩივლებს.

– ჩვენ ჩივილს არ ვაპირებთ! – თქვა პესკოვმა.

❖ ❖ ❖

მასალებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა. მისმა წარმომადგენელმა ჯოშუა ერნსტმა განაცხადა, რომ ახლა უკვე ყველასთვის ცხადია, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება არ შეიძლება.

– აშშ წინ აღუდგება სანქციებისთვის გვერდის ავლის ნებისმიერ მცდელობას, –თქვა ერნსტმა.

საბერძნეთიდან მიგრანტების დეპორტაცია დაიწყო



საბერძნეთიდან სირიელი ლტოლვილების პირველი ჯგუფის დეპორტაცია განხორციელდა.

ევროკავშირსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ისინი თურქეთში გააძევეს.

„ემნისტ ინტერნეიშენელმა" და სხვა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა მიგრანტების დეპორტაცია სასტიკად გააკრიტიკეს. მათი აზრით, ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა.

ნადეჟდა სავჩენკო მშრალ შიმშილობას განაახლებს

უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა განაცხადა, რომ სავჩენკო მშრალ შიმშილობას განაახლებს.

სავჩენკომ განაჩენის გასაჩივრება კატეგორიულად აკრძალა. ის აცხადებს, რომ უკანონო პატიმარია, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ, მიყენებული ზარალიც აუნაზღაურონ.

ამას მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსებიც იზიარებენ.

– სასამართლოზე სავჩენკოს ალიბი დამტკიცდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაასამართლეს და 22 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ეს სრული უკანონობაა, – ამბობს სენატორი მაკეინი.

სავჩენკოს გათავისუფლებას მოითხოვენ თეორი სახლი, ევროპის საპარლამენტო ასამბლეა, უკრაინის უმაღლესი რადა და პირადად პრეზიდენტი პოროშენკო.

რუსმა უფლებადამცველმა საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო

რუსმა უფლებადამცველმა ნადეჟდა კუტეპოვამ საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც კუტეპოვა ედგა სათავეში, რუსეთის ხელისუფლებამ დახურა. ორგანიზაცია უცხოეთის აგენტად გამოაცხადეს, თავად კუტეპოვას კი შპიონაჟში დასდეს ბრალი.

2015 წელს კუტეპოვა პარიზში ჩავიდა. ის კარგა ხანს ამაოდ ითხოვდა პოლიტიკურ თავშესაფარს. საფრანგეთის ხელისუფლებამ მისი თხოვნა მხოლოდ 2016 წლის 5 აპრილს დააკმაყოფილა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამერიკაში პირველი „ძაღლკაფე" გაიხსნება

მიმდინარე თვეში აშშ-ში ქვეყანაში პირველი „ძაღლკაფე" გაიხსნება. დაწესებულებას დი დოგ ქაიფ ჰქვია და ის კალიფორნიის სილვერ-ლეიკში მდებარეობს.

კაფეს დამაარსებელი და მფლობელი სარა ვოლფგანგი რამდენიმე ადგილობრივ თავშესაფართან თანამშრომლობს. პროექტის მიზანია ადამიანების ცხოველებთან ურთიერთობის ახალი საშუალების გამოძებნა და იმ ძაღლებისთვის უფრო მშვიდი ატმოსფეროს შექმნა, რომლებიც უპატრონოდ დარჩნენ.

გარდა ამისა, დაწესებულება ეპატიჟება ყველას, ვისაც არ შეუძლია, სახლში იყოლიოს შინაური ცხოველი.

კაფე მუშაობას 7 აპრილიდან შეუდგება. მასში შესვლა 10 დოლარი ეღირება და მასში შედის ჩაის ან ყავის საფასური.

თუ „ძაღლკაფე" წარმატებული პროექტი აღმოჩნდება, მაშინ ვოლფგანგი ანალოგიური დაწესებულებების გახსნას აშშ-ის დიდ ქალაქებშიც აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს"

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

განცხადებები

იყიდება

● იყიდება სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ახალი სრული კომპლექტით, გარანტიით. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.

პსჟ და სიტი: მიუწვდომელ ნახევარფინალში ერთი ადგილია

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის კიდევ ორი მეოთხედფინალური შეხვედრა.

პსჟ – სიტი 1.73 3.6 5.0

პარიზული კლუბი ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ხოლო სიტი პირველად მოხვდა ამ სტადიაზე. ორივე გუნდს დიდი სურვილი აქვს საუკეთესო ოთხეულში მოხვდეს და უფრო წინ წავიდეს. ერთ-ერთი მათგანი ამას აუცილებლად მოახერხებს, თუმცა ვინ იქნება, ამას ორმატჩიანი დუელი გადაწყვეტს.

ეს გუნდები ერთმანეთს ერთხელ შეხვედრიან: 2008-09 წლის ევროპის ლიგის გათამაშების დროს ჯგუფურ ეტაპზე. მაშინდელი ფორმატით, გუნდები ჯგუფებში თითოჯერ თამაშობდნენ და მასპინძელს კენჭისყრა წყვეტდა. მატჩი მანჩესტერში გაიმართა და გუნდები უგოლოდ დაშორდნენ. იმ თამაშის მონაწილეები დღესაც ირიცხებიან სიტიში – ჯო ჰარტი, პაბლო ზაბალეტა და ვინსენტ კომპანი.

კომპანი დღეს მოედანზე ტრავმის გამო ვერ გავა, ხოლო ჰარტის თამაში საეჭვოა. ასევე ტრავმები აქვთ ფაბიან დელფსა და ფერნანდოს. პარიზელებს ვერ დაეხმარება მარკო ვერატი, ხოლო სერჟ ორიეესა და ხავიერ პასტორეს თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მსაჯები სერბეთიდან არიან: მილორად მაჯიჩი (მთავარი); მილოვან რისტიჩი, დალიბორ ჯურჯევიჩი (ასისტენტები); დანილო გრუიჩი, ნენად ჯოკიჩი (დამატებითი ასისტენტები); ნემანია პეტროვიჩი (მეოთხე);

სავარაუდო შემადგენლობები:

პსჟ: ტრაპი, ვან დერ ვილი, სილვა, ლუიზი, მაქსველი, მოტა, მატუიდი, ლუკასი, დი მარია, იბრაჰიმოვიჩი, კავანი

სიტი: ჰარტი, სანია, ოტამენდი, დემიკელისი, კლიში, ტურე, ფერნანდინიო, დე ბრუინი, სტირლინგი, სილვა, აგუერო

ვოლფსბურგი – ხეაღი

5.0 3.8 1.67

ვოლფსბურგი ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია და მეტოქედ ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის 10-გზის გამარჯვებული ჰყავს. ცხადია, ფავორიტი რეალია.

ამასთან, მადრიდელები მხოლოდ რაფაელ ვარანს მოისაკლისებენ, რომელიც თავად სხვა ფეხბურთელების შემცვლელად მოიაზრება. ასე რომ, რეალი საბრძოლო შემადგენლობით ეწვია გერმანიას.

თავის მხრივ ვოფსბურგს დაუბრუნდა გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა ბას დოსტი და გუნდიც მის და ჯულიან დრექსლერის იმედად არის. ეს ის დრექსლერია, რომელიც გასულ სეზონში შალკეს შემადგენლობაში თამაშობდა და მდრიდში 4:3 მოგებით ახლოს იყო სენსაციასთან.

მსაჯები იტალიელები არიან: ჯანლუკა როკი (მთავარი); ელენტო დი ლიბერატორე, ჯანლუკა კარიოლატო (ასისტენტები); ანტონიო დამატო, კარმინე რუსო (დამატებითი ასისტენტები); მაურო ტონოლინი (მეოთხე);

სავარაუდო შემადგენლობები:

ვოლფსბურგი: ბენალიო, დანტე, როდრიგესი, ნალდო, შეფერი, გილიავოგი, არნოლდი, დრექსლერი, შურლე, კრუზე, დოსტი

რეალი: ნავასი, მარსელო, პეპე, რამოსი, არბელოა, კროოსი, მოდრიჩი, კაზემირო, ბეილი, რონალდუ, ბენზემა

ჯაბა ბრეგვაძე: „რაგბი ევროპა საქართველოსთვის უინტერესო ხდება“



ჯაბა ბრეგვაძე ვუსთერ სიქსვეიზს მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც რუსეთისა და რუმინეთის დამარცხებით ბორჯღალოსანთა რიგებში რაგბი ევროპის ჩემპიონობა კიდევ ერთხელ მოიპოვა.

ბრეგვაძე რუსეთთან, სოჭში გამართულ მატჩში (24:7) შეცვლაზე მოგვიანებით შევიდა, ხოლო თბილისში, რუმინეთის წინააღმდეგ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყო, სადაც ბორჯღალოსნებმა მეტოქე 38:9 დაამარცხეს.

ინგლისური მედია ბრეგვაძეს ესაუბრა, რომელიც რამდენიმე საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას.

ჯაბა ბრეგვაძე:

– ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ტურნირი იყო, განსაკუთრებით კი, ბოლო მატჩი, რომელსაც თბილისში ტრიბუნებიდან 52.000 გულშემატკივარი ადევნებდა თვალს. ჩვენს მატჩებს ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი გულშემატკივარი ესწრება და ვხედავთ, რომ რაგბი საქართველოში ნომერ პირველი სპორტი ხდება. რუსეთის წინააღმდეგ მატჩში მე სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და გავსინბინდი კიდევაც, თუმცა რამდენიმე წუთი მაინც შევძელი თამაში. მეორე მატჩში რუმინეთის წინააღმდეგ პირველივე წუთიდან მოედანზე ვიყავი და 55 წუთი ვითამაშე.

იმის ფონზე, რომ 2000 წლიდან მოყოლებული იტალიამ წელს მე-11 ხის კოვზი მოიპოვა, ბრეგვაძე საქართველოს ნაკრების უმაღლესი ეშელონის გუნდებთან ასპარეზობას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ბრეგვაძის თქმით, არაჩვეულებრივი იქნება 6 ერში ასპარეზობა, რადგან რაგბი ევროპის დონეზე ჩვენი ნაკრები ვერ განვითარდება. პროგრესი მაშინ შეიმჩნევა, როცა ჩვენზე ძლიერ გუნდებს ვითამაშებთ, თუმცა ამ ეტაპზე ამის მიღწევა მხოლოდ იმედი და პირველი ნაბიჯებია.

ჯაბა ბრეგვაძე:

– ჩვენ უკვე 9-ჯერ მოვიგეთ „რაგბი ევროპა“ და ჩვენთვის უფრო და უფრო ადვილი ხდება ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. როდესაც რუსეთსა და რუმინეთს ვეთამაშებით, მატჩის განმავლობაში უფრო მეტი შერკინება და მოლია, რაც თამაშს დინამიურს არ ხდის, პრემიერშიპის მატჩები კი უფრო მეტად დინამიურია.

ტულუზის ყოფილი მოთამაშე ვუსტერში მსოფლიო თასის შემდეგ, შემოდგომაზე ჩავიდა და პრემიერშიპში უკვე 8-ჯერ ითამაშა.

– ვუსტერში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ჩემს თანაგუნდელებთან და მწვრთნელებთან ერთად. მათ გუნდში გაშინაურება ძალიან გამიადვილდა, რადგანაც თითოეული მათგანი გვერდში დამიდგა. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს და ვუსტერში ცხოვრებაც მომწონს, – ამბობს ბრეგვაძე.

საქართველოს ჩემპიონატი კლასიკოს მოლოდინშია

ახალ ტურს ორი გუნდი ახალი მწვრთნელით შეხვდება

საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტური დარჩა. აქედან ერთი, დღეს გაიმართება. არის რამდენიმე საინტერესო მატჩი, მაგრამ უმთავრესი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე გაიმართება – ქართულ კლასიკოდ შერაცხული დინამო-ტორპედო.

6 აპრილი

სიონი-ზუგდიდი

გოლნისი. თამაზ სტეფანია

სიონმა წინა ტურში, მარტვილში 2 ქულა დაკარგა, თუმცა მესამე ადგილს მაინც მიუახლოვდა და ევროთასებზე გასასვლელად იბრძვის. ზუგდიდმა კი ბოლო ტურში მოიგო და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს.

ჩიხურა-ცხინვალი

ივანწმინდა. ცენტრალური

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ჩიხურამ მე-2 წრეში ძალიან მოუმატა და ევროთასებზე გასვლის პრეტენზია გაუჩნდა. ამასვე ფიქრობდა პირველ წრეში ცხინვალიც, მაგრამ გუნდის ლიდერის, ნიკა კაჭარავას როსტოვში გადასვლის შემდეგ შეტევაში მოისუსტებს და ეს დაეტყო კიდეც.

შუქურა-მეხანი

ქოგულეთი. ჩელე არენა

შუქურას შეუძლია მშვიდად იყოს – მთავარი ამოცანა გადაწყვეტილი აქვს. ზღვისპირელებისგან განსხვავებით, საფრთხის წინაშე დგას მერანი, რომელსაც ბრძოლა გადარჩენისთვის აქვს დასახული.

სამტრედია-დინამო (ბთ)

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

გია ცეცაძის გუნდი მე-2 წრეში თავისი თამაშით გვაოცებს და დამსახურებულადაც არის მე-2 ადგილზე. ბათუმელებმა კი ბოლო ტურებში საქმე გაირთულეს და დღესაც მძიმე მატჩი ელით.

ლოკომოტივი-ჯოლხეთი

თბილისი. მიხეილ მესხი

რკინიგზელებს დარჩენილ ტურებში რთული ბრძოლების გადატანა მოუწევთ. კოლხეთთან შანსია საქმე გაიუმჯობესონ, რადგან ფოთელები დაუმარცხებელ გუნდად არ მოჩანს. ერთია, როგორ მოახერხებენ ამას სარაგოსას დამოძღვრილი შეგირდები. ერთია, სარაგოსას ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრები კარგად იცნობენ და მაინცდამაინც შედეგით ვერ გამოირჩევა.

კოლხეთმა კი ფეარ პლეი უნდა დაიცვას...

საპოვნელა-საბუქთაერო

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

რთული ამოცანის წინაშე დგას იმერული კლუბი. ნებისმიერი ქულის დაკარგვა, შესაძლოა, უმაღლესი ლიგის დაკარგვად დაუჯდეს. საბურთალოს ახალგაზრდულ გუნდთან მხოლოდ 3 ქულა სჭირდებათ, მაგრამ ეს არც ისე იოლი მოჩანს. დედაქალაქელები ფრანკო მარტინის ხელში გააზრებულ ფეხბურთს თამაშობენ და საპოვნელასაც მისი გასაღების მოძებნა დასჭირდება.

გუჩია-დილა

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

გურულები ახალი მწვრთნელით დახვდებიან გორელებს. გუნდიდან მთავარი მწვრთნელი ვიქტორ დემიდოვი დაითხოვეს, რომელსაც თემურ მახარაძე ჩაანაცვლებს. 65 წლის სპეციალისტს საქართველოში არაერთი კლუბი გაუწვრთნია, ბოლოს სწორედ გორის დილაში მუშაობდა – 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის მარტამდე.

მიმდინარე სეზონში მახარაძე გურიას მე-5 მთავარი მწვრთნელია.

დინამო (თბ)-ტოხპედო

თბილისი. დინამო არენა

ქართულ კლასიკოდ მონათლული მატჩი ყოველთვის საინტერესოა. არა მარტო მოედანზე, არამედ – ტრიბუნებზეც. აქ გულშემატკივრებს შორის ძალების გამოყენებაზე არ გვაქვს საუბარი – ორივე გუნდს კარგი შოუს მოწყობა შეუძლია, რაც თავის მხრივ ცალკე ალამაზებს ფეხბურთს.

ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობი გუნდები არიან: საქართველოს ჩემპიონატის ეგიდით ჩატარებული 60 მატჩიდან, 30-ჯერ გამარჯვება მტკვრისპირელებმა იზეიმეს, 15 შეხვედრა ფრედ დასრულდა, ხოლო 15 დაპირისპირებიდან რიონისპირელები გამოვიდნენ გამარჯვებულები. ბურთების შეფარდება 105:59, ცხადია, თბილისელთა სასარგებლოდ არის.

დინამო-ტორპედოს დაპირისპირება მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატით არ შემოიფარგლება. ეს გუნდები საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში 26-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქაც უპირატესობა დინამოელთა მხარესაა. ამ დაპირისპირებებიდან დინამომ 13 თამაშში მიაღწია წარმატებას, 9 შეხვედრა დასრულდა ფრედ და 4-ჯერ ტორპედომ მოიგო. ბურთების შეფარდება 38:21.

ქუთაისელებს დინამო უკვე თითქმის ოთხი წელია არ დაუმარცხებიათ. ბოლოს ტორპედომ 2012 წლის 6 მაისს იმარჯვა. მას შემდეგ დინამომ ექვსჯერ დაჯაბნა მეტოქე და სამი დერბი ფრედ დასრულდა.

ტორპედო ახალი მწვრთნელით ჩავიდა დედაქალაქში: 62 წლის უკრაინელმა სპეციალისტმა, ალექსანდრ შტელინმა, გუნდი დროებით დატოვა. როგორც ირკვევა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო და ორ უახლოეს მატჩში მოედანზე რიონისპირელებს მისი თანაშემწე, მიხეილ აშვეთია გაიყვანს. თუმცა, არ არის გამორიცხული, შტელინი საქართველოში არ დაბრუნდეს. შტელინის წასვლა მეორე წრის განახლების დროსაც ივარაუდებოდა, თუმცა, მაშინ კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელს შანსი მისცა და არ არის გამორიცხული, მისი მუშაობა უარყოფითად შეფასდა. უბრალოდ, დათხოვნას არ ადასტურებენ.

სატუნინიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	22	19	1	2	58-19	58
2.სამტრედია	22	15	2	5	52-25	47
3.ფილა	22	13	5	4	36-18	44
4.სიონი	22	11	7	4	40-23	40
5.ჩიხურა	22	12	4	6	40-18	40
6.ცხინვალი	22	10	8	4	37-24	38
7.დინამო (ბთ)	22	10	6	6	34-22	36
8.შუქურა	22	8	6	8	23-23	30
9.ტორპედო	22	8	6	8	30-32	30
10.საბურთალო	22	8	4	10	34-50	28
11.კოლხეთი	22	6	5	11	16-25	23
12.ლოკომოტივი	22	4	6	12	21-29	18
13.გურია	22	3	8	11	19-37	17
14.საპოვნელა	22	3	4	15	14-47	13
15.მერანი	22	3	4	15	19-50	13
16.ზუგდიდი	22	2	6	14	18-49	12

შედეგები

4 აპრილი

შეხვედრები

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ხიხონი 0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	31	24	4	3	87-26	76
2.ატლეტიკო	31	22	4	5	51-15	70
3.რეალი	31	21	6	4	89-29	69
4.ვილიარეალი	31	16	9	6	39-26	57
5.სელტა	31	14	7	10	44-52	49
6.ბილბაო	31	14	6	11	49-40	48
7.სევილია	31	13	9	9	44-37	48
8.მალაგა	31	10	10	11	30-29	40
9.ეიბარი	31	10	8	13	43-44	38
10.სოსიედადი	31	10	8	13	39-42	38
11.დეპორტივო	31	7	16	8	40-44	37
12.ლას პალმასი	31	10	6	15	34-43	36
13.ესპანიოლი	31	10	6	15	32-57	36
14.ბეტისი	31	8	10	13	28-45	34
15.ვალენსია	31	8	10	13	34-38	34
16.რაიო	31	7	10	14	43-63	31
17.გრანადა	31	7	8	16	33-57	29
18.ხეტაფე	31	7	7	17	28-54	28
19.ხიხონი	31	7	7	17	32-52	28
20.ლევანტე	31	6	7	18	28-54	25

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბილბაო ბ-ოვიედო 2:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-ფრაიბურგი 2:3

იტალია. სერია ა

ბოლონია-ვერონა 0:1

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	31	23	4	4	56-16	73
2.ნაპოლი	31	20	7	4	63-27	67
3.რომა	31	18	9	4	66-32	63
4.ფიორენტინა	31	16	8	7	51-33	56
5.ინტერი	31	16	7	8	41-30	55
6.მილანი	31	13	10	8	41-33	49
7.სასუოლო	31	12	12	7	40-34	48
8.ლაციო	31	11	9	11	39-42	42
9.კიევო	31	11	8	12	37-40	41
10.ჯენოა	31	10	7	14	36-37	37
11.ტორინო	31	9	9	13	39-43	36
12.ბოლონია	31	10	6	15	30-36	36
13.ატალანტა	31	9	9	13	30-36	36
14.ემპოლი	31	9	9	13	34-43	36
15.უდინეზე	31	9	7	15	29-46	34
16.სამპდორია	31	8	9	14	44-49	33
17.კარპი	31	6	10	15	29-49	28
18.პალერმო	31	7	7	17	29-54	28
19.ფროზინონე	31	7	6	18	29-59	27
20.ვერონა	31	3	13	15	27-51	22

იტალია. სერია ბ

ბარი-ჩეზენა 0:0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

რედ სტარი-პარიზი 2:4

ჩეხეთი. პრემიერლიგა

მორდოვია-კრილია 1:2

დინამო-კრასნოდარი 1:4

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ქაისერი 0:0

ქაშიმფაშა-ბეშიქთაში 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

იაგელონია-პოდბესკიჟე 0:3

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ვიბორგი 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-ოსტერსანდი 1:1

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ემა უოტსონი მათეთრებელი საშუალების რეკლამისთვის გააკრიტიკეს

ბრიტანელმა მსახიობმა ემა უოტსონმა უპასუხა კრიტიკას, რომელიც მას თავს დაატყდა ლენქომის მათეთრებელი საშუალების რეკლამაში მონაწილეობისთვის.

ბრიტანელმა ვარსკვლავმა კომპანიის ბლენქ ექსპერტის ახალი ხაზის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობა ჯერ კიდევ 2011 წელს მიიღო, მაგრამ ის მხოლოდ ახლა გააკრიტიკეს.

პროდუქცია ბლენქ ექსპერტს მართლაც უწოდებენ კანის გამათეთრებელ საშუალებას, მაგრამ მის აღწერილობაში მითითებულია, რომ სინამდვილეში მის დანიშნულებას კანის პიგმენტაციისა და მუქი ლაქების შენიღბვა წარმოადგენს.

უოტსონის ამ კომპანიაში მონაწილეობამ ინტერნეტში დიდი კამათი გამოიწვია. თავის მხრივ, მსახიობის პრესმდივანმა განაცხადა, რომ კომენტარს ვერ გაუკეთებს უოტსონის ადრინდელ შეთანხმებებს კომპანიასთან. მან აღნიშნა,



რომ მისი კლიენტი აღარ უკეთებს რეკლამას კოსმეტიკურ საშუალებებს, რომლებიც „ყოველთვის ვერ წარმოაჩენენ ყველა ქალის სილამაზის მრავალფეროვნებას“.

ლენქომში აღნიშნულის კომენტარზე უარი განაცხადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდი რეზინის იხვის ავტორი ბრაზილიელებს პლაგიატში ადანაშაულებს

ჰოლანდიელი მხატვარი ფლორენტინ ჰოფმანი, რომელიც დიდი რეზინის იხვის ავტორია, ბრაზილიელ პროტესტანტებს პლაგიატში ადანაშაულებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული სააგენტო ავრცელებს.

ჰოფმანის შემოქმედებას შეგიძლიათ მთელ მსოფლიოში შეხვდეთ, ჰონკონგიდან სიდნეიმდე. მხატვარის თქმით, რეზინის იხვისთვის საზღვრები არ არსებობს და მას პოლიტიკური კონტექსტი არ გააჩნია.

თუმცა ბრაზილიის პრეზიდენტის დილმა რუსეფის იმპიჩმენტის მომხრეებმა დიდი რე-

ზინის იხვი საკუთარ თილისმად აქციეს. ის ერთ-ერთი ჯგუფის შეკვეთით დაამზადეს და მას საპროტესტო აქციების დროს იყენებენ, რომელშიც ისინი კორუფციის და მაღალი გადასახადების წინააღმდეგ გამოდიან. ბოლო თვეებში რეზინის იხვი არაერთხელ გამოჩნდა ქვეყნის მეთაურის წინააღმდეგ ორგანიზებულ დემონსტრაციებზე.

ჰოფმანი მიიჩნევს, რომ ბრაზილიური იხვი მის ნამუშევარს ჰგავს, ეს კი მის საავტორო უფლებებს არღვევს.

თავის მხრივ, სან-პაულუს ქარხნის მფლობელი, სადაც დამზადდა იხვი პროტესტანტებისთვის და ასევე ჰოფმანის იხვი ბრაზილიაში გამართული გამოფენისთვის, ამტკიცებს, რომ დიზაინის კოპირებას ადგილი არ ჰქონია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლივერპულმა ლუკას ვასკესს დაადგა თვალი

ლივერპულის მწვრთნელს იურგენ კლოპს თავის გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის მიწვევა სურს. ერთ-ერთი მათგანი მადრიდის რეალის ნახევარმცველი ლუკას ვასკესია, რომელმაც წლევანდელ სეზონში გულშემატკივარს რამდენიმე კარგი მატჩით დაამახსოვრა თავი.

ვასკესი 24 წლის არის და კლოპს მისი შეძენა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როდესაც დორტმუნდის ბორუსიას წვრთნიდა. მაშინ კლოპს ამის გაკეთება არ გამოუვიდა და ამჯერად ის კიდევ ერთხელ შეეცდება ვასკესის თავის გუნდში გადმოყვანას.

მადრიდის რეალში ვასკესი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ ლივერპულს მისი შეძენის კარგი შანსი აქვს.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იბრაჰიმოვიჩმა ერთხელ გატუზო სანაგვეში ჩააგდო

მილანის ყოფილმა ფეხბურთელმა ტიაგო სილვამ ზლატან იბრაჰიმოვიჩზე სასაცილო ისტორია მოყვა.

სილვამ გაიხსენა, რომ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ზლატანს ჯენარო გატუზო უხეშად ეთამაშებოდა და მუდამ მის პროვოცირებას ცდილობდა. სილვას თქმით, ვარჯიშის დროს იბრაჰიმოვიჩმა გატუზოს პასუხი არ გასცა, მაგრამ ეს ამბავი ასე არ დასრულებულა.

ვარჯიშის შემდეგ, როდესაც ფეხბურთელები გასახდელში შევიდნენ, ზლატანმა გატუზოს ხელი მოჰკიდა და იქვე მდგარ სანაგვე ყუთში ჩააგდო, რაც ტიაგო სილვას თქმით ძალიან სასაცილო სანახავი იყო. თუ როგორი გაგრძელება მოჰყვა ამ ისტორიას, სილვას ამაზე არ უსაუბრია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ინციდენტის მონაწილე არმიის მწვრთნელ-მორაგბეები დასაჯეს

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიამ ფოთში გამართული ბათუმი-არმიას შემდეგ მომხდარი ინციდენტი განიხილა. როგორც ცნობილია, ხსენებული შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჭრეს არბიტრი ნიკა ამაშუკელი.

სადისციპლინო კომისიის წევრები დაეყრდნენ კომისრის ოქმს, ნიკა ამაშუკელის და დამხმარე მსაჯების განცხადებებს, ასევე ვიდეომასალას და დააგინეს, რომ არმიას მთავარი მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე მსაჯის გადაწყვეტილებებზე არაკორექტულად აპელირებდა, იქცეოდა არაეთიკურად და არასპორტულად, რის გამოც დისკვალიფიცირებულია 3 სათამაშო კვირით და კლუბი დაჯარიმდა 500 ლარით.

განსაკუთრებით დაისაჯა თბილისური კლუბის წარმომადგენელი ჯაბა კიზირია, რომელმაც მსაჯს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. კიზირიას 5-წლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ხოლო კლუბს 5.000-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა;

მსაჯის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა დაუდგინდა კლუბის კიდევ ერთ წარმომადგენელ გიგა ჩაჩავას, რისთვისაც 1 წლით ჩამოაშორეს რაგბის და კლუბი ჯარიმის სახით

2.000 ლარს გადაიხდის;

მორაგბეები – გიორგი აფციაური და ილო სურგულაძე მსაჯს ეკამათებოდნენ, უდიერად და აგრესიულად ესაუბრებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ამისათვის ისინი 3 სათამაშო კვირით არიან დისკვალიფიცირებული და კლუბი 200-200 ლარით დაჯარიმდა.

მორაგბეებსა და მთავარ მწვრთნელს დისციპლინარული სასჯელის მოხდა მომდევნო სეზონის საწყის ტურებშიც მოუწევთ.

თუმცა, საქმე ამით არ დასრულებულა და ახლა გუნდის ბედი საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის ხელშია. სადისციპლინო კომისიამ მთავარი სიტყვა გამგეობას გადასცა:

– მსაჯთა წერილობითი განცხადებებიდან დგინდება, რომ მატჩის მთავარ მსაჯს, ნიკა ამაშუკელს, ინციდენტის დროს მიყენებული ექნა სხეულის დაზიანება (ჭრილობა). აღნიშნული ფაქტის განხილვა სცილდება სრკ-ს სადისციპლინო კომისიის კომპეტენციას. აქედან გამომდინარე სრკ-ს სადისციპლინო კომისია მიმართავს სრკ-ს პრეზიდენტს, რომ ზემოხსენებული ინციდენტი გახდეს სრკ-ს გამგეობის მსჯელობის საგანი.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.

მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.

მობ. ტელ: 599-73-48-21

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ მთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ასტროპროგნოზი
6 აპრილისთვის

ვერძი – მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ეცადეთ, ყველა საქმე დაამთავროთ და ახალი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოთ. ქალაქიდან გასვლას ვარსკვლავები დღეს არ გირჩევენ. **კურო** – იღბლიანი პერიოდია. კომერციული ოპერაციები და საქმიანი გარიგებები წარმატებით დასრულდება. **ბუღაები** – კონფლიქტებს დილიდანვე ელოდეთ. ალკოჰოლი საქმეს უფრო გაამწვავებს. საღამო ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. **კირჩხიბი** – იყავით კეთილგონიერი. ჭორებსა და უსაგნო საუბრებს ნუ აჰყვებით. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ეცადეთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთოთ. ფიზიკური ვარჯიში ძალიან წაგადგებათ. **ქალწული** – უფროსობა თქვენით კმაყოფილია. ასე განაგრძეთ. საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – ბუნების წიაღში დასვენება, ქალაქიდან გასვლა, ბაღში მუშაობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. **ღრიანკალი** – ერიდეთ საქმის გარჩევებს. უმჯობესი იქნება, თუ კონფლიქტურ გარემოს საერთოდ გაეცლებით. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღებით მოეპყარით. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. გრძელვადიანი გეგმების შემუშავება რეკომენდებული არ არის. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **თხის რქა** – მძიმე დღეა. დაძაბულობას მხოლოდ მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებთან კონტაქტი მოგიხსნით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. დაისვენეთ და გაერთეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს წვრილმანი საკითხები მოაგვარეთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მონაგონი, ტყუილი ამბავი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 16. მონასტერი ხულოს რაიონში; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

თარაზულად: 1. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 3. შამფურზე შემწვარი ხახვითა და სუნელებით შეზავებული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 9. რძის პროდუქტი; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. ფუტბალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. კლიპი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. „ალადასტური“; 15. როლგანგი; 16. პოლინეზია; 17. ვარძია; 19. გალუაზი; 21. ხარკი; 22. „ბრაგა“.

თარაზულად: 1. „იფიგენია“; 5. კოლი; 7. „გოპაკი“; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. ვერა; 18. აგუნა; 20. პლასტიკა; 22. ბონდი; 23. „პუბლიკა“; 24. ზეკარი; 25. კუპრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუში; 2. ონი; 3. ხოზაფინი; 4. სი; 5. კომერცია; 6. სუვა; 7. ჟინვალი; 10. ბუტი; 11. საფიჩხია; 12. კორონაცია; 13. პონი; 16. ალუპკა; 18. ფოლორცი; 19. ალონსო; 21. სექტა; 24. რუპია.

თარაზულად: 1. სანახშო; 3. ხერესი; 8. ბონუსი; 9. შობა; 14. სტეკა; 15. „ბოლერო“; 17. ფიცი; 20. ნუნისი; 22. ილორი; 23. ლაჩარი; 25. ოდა; 26. პერო; 27. გოია; 28. პედიატრია.

„რუსეთში რატომ უნდა იმღეროონ და იცეკვონ ქართველებმა?“

– რუსეთში რატომ უნდა იმღეროონ და იცეკვონ ქართველებმა? – ამ კითხვას კომპოზიტორი და მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი საჯაროდ სვამს და პასუხსაც თავად სცემს.

მიხეილ ზაქარიაშვილი:

– ერთი რა ვერ გავიგე იცით? აი, სომეხმა რომ აზერბაიჯანში იმღეროს ან პირიქით, აზერბაიჯანელმა სომხეთში, წარმოგიდგენიათ? სანამ საგავო საკითხებს არ გადაწყვეტენ! არა, ხო? არც ერთი ამას არ იზამს, ხომ ასეა?

მაშ რუსეთში რატომ უნდა იმღეროონ და იცეკვონ ქართველებმა? თუ ვთანხმდებით ყველა, ოპოზიციაც და პოზიციაც, რომ რუსეთი ოკუპანტია, იქნებ გამცეთ პასუხი ვინმემ? იქ ვინც ცხოვრობს, იმათ არ ვეხები. ხელოვნება საზღვრების გარეშეო, ხომ ამბობთ? კი, ბატონო, გეთანხმებით მასეც უნდა იყოს... მაშ, რითი ვართ ჩვენ ამ სომეხზე და აზერბაიჯანელზე ნაკლები? ჩვენი მტერი მტერი არ არის და იმათი მტერი მტერია? იქნებ ამიხსნათ ვინმემ, მე მტერს რატომ უნდა ვუცეკვო და ვუმღერო? სხვა საკითხია, მე რუსი მწერლების ნაწარმოებს წავიკითხავ თუ რუსი კომპოზიტორების სიმღერებს მოვუსმენ...

„მზიურში“ ზურიკელას ძეგლი შეღებეს

ნოდარ დუმბაძის საოცნებო ბავშვთა ქალაქ მზიურში ზურიკელას ძეგლი ცისფრად შეღებეს.

ინფორმაცია და ვანდალიზმის ამსახველი ფოტოები „ახალი მზიურის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– დასანანია, ეს ხდება მაშინ, როცა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. იმის მაგივრად, რომ გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მზიურს, აი ასე დაგვხვდა მე, ბებია, ილიკოს და ილარიონის ძეგლი... ჩვენ უკვე მივმართეთ თბილისის მერიას, რომ დააბრუნონ დაცვის პოლიციის თანამშრომლები მზიურის ტერიტორიაზე. იმედი გვაქვს, დროულად გაითვალისწინებენ ჩვენს თხოვნას.

„ხმოვანი წიგნები“ — ახალი პროექტი უსინათლოებისთვის

„ხმოვანი წიგნები“ – ასე ეწოდება „საბას“ ახალ პროექტს, რომლის პრეზენტაციაც მარო მაყაშვილის ბაღში გაიმართება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ხმოვანი წიგნების პირველი ქართული აპლიკაცია, რამდენიმე ასეული ხმოვანი წიგნით.

„საბას“ ხმოვანი წიგნები სრულად იქნება ადაპტირებული უსინათლო ადამიანებზე, რომლებიც საჩუქრად მიიღებენ მათ.

ანა ახვლედიანმა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ტრავმა მიიღო

მოდელმა ანა ახვლედიანმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ტრავმა მიიღო. მოდელი სცენაზე თავის ლიტველ მეწყვილესთან ედგარას ბრაზასთან ერთად სცენაზე გამოვიდა და ცეკვა დაიწყო, თუმცა პირველივე ილეთის შემდეგ, ფეხის ტრავმა მიიღო და ცეკვის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა გოჩა ჩერტკოევმა მოდელი ხელში აიყვანა და კულისებში წაიყვანა.

ანა ახვლედიანი პროექტიდან პირდაპირ საავადმყოფოში აღმოჩნდა. როგორც მისმა მეგობრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, ანას ფეხი დილიდანვე აწუხებდა, გაუყინეს კიდეც, მაგრამ შეტევა სცენაზე კვლავ გაუმეორდა. შეძლებს თუ არა ცეკვას და პროექტში მონაწილეობის გაგრძელებას ანა ახვლედიანი, ამ დრომდე უცნობია.

„იმედის“ ეთერში „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონი გრანდიოზული გახსნით დაიწყო. ჟიურიც და მონაწილეებიც საერთაშორისოა, ამიტომაც შოუს მიმართ ინტერესი დიდია. ამას მოწმობს პირველივე ტურში მაყურებლებს შორის არაერთი ცნობილი ადამიანის ხილვა. მათ შორის შოუს ყოფილი კონკურსანტების ანრი ჯოხაძის და ნინი ბადურაშვილის.

კონკურსანტებს ნინო სუხიშვილი, ანდრის ლიეპა და გოჩა ჩერტკოევი აფასებენ, გამარჯვებისთვის კი ერთმანეთს ნინი წიკლაური, ქეთი ჩხეიძე, მზეო სამუკაშვილი, ანა ახვლედიანი, ნუკა ყარალაშვილი, ეკა ამირეჯიბი, ლიზა ყენია, ანდრია გველესიანი, დუტა სხირტლაძე, ჯანო იზორია, ინდური ტელესერიალების გმირი გაურავ ჩოპრა და უკრაინელი მსახიობი სტანისლავ ბონდარენკო შეეჯიბრებიან.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერებმა შოუ ორშაბათს გადმოიტანეს და „იქს ფაქტორს“ დაამთხვიეს, რამაც მაყურებლის გაღიზიანება გამოიწვია. მათ შორის აღმოჩნდა მომღერალი სტეფანეც:

– აი, ეს ერთმანეთზე დასმა და ერთმანეთის ჩათრევა, მთავარი სხვა არ იყოს კარგად, გვღუპავს. ეს ქაჯობა ალბათ არასოდეს მიგვატოვებს. იქს ფაქტორზე ცეკვავენის დასმას ვგულისხმობ, როგორც სურამში ნაზუქებია გამოფენილი ერთმანეთის ჯინაზე, თავშიც არ მოსდის არავის ამდენ ნაზუქში ვინმემ ხაჭაპური გამოაცხოს

9 აპრილს ხელოვანები თეატრალიზებულ კომპოზიციას წარმოადგენენ

„9 აპრილის ელეგია“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელსაც შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“, „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდთან“ თანამშრომლობით 9 აპრილს გამართავს.

– ერთად გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, პატივი მივაგოთ ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნას, დავდგეთ ერთად და გამოვხატოთ ამ ჟესტით საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის ურყევი რწმენა და ამ მიზნით მომავლისაკენ სვლის იმედი, – აცხადებს ეროვნული იმპერატივის ხელმძღვანელი გიორგი სავანელი.

ღონისძიება 9 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაღში, მარო მაყაშვილის სკვერში გაიმართება, მასში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა თაობის თბილისის თეატრების მსახიობები და მუსიკოს-შემსრულებლები. ისინი წარმოადგენენ სპეციალურად ამ დღისათვის შექმნილ თეატრალიზებულ კომპოზიციას. შეკრებილი საზოგადოების წინაშე მხატვრული და თეატრალიზებული ფორმით გაცოცხლდება 9 აპრილის ტრაგიკული თარიღი და პერიპეტიები.

ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მასზე დასწრება თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კულტურის მინისტრის მოადგილე ესტონეთში ვიზიტით იმყოფება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ესტონეთში იმყოფება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის მიზანია შემოქმედებითი (კრეატიული) ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით ესტონური მხარის გამოცდილების გაზიარება და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული ვიზიტი ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და ესტონეთის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

ვიზიტის ფარგლებში, ლევან ხარატიშვილი ესტონეთის უწყებათაშორისი დელეგაციის წევრებთან ერთად შეხვდა ესტონეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს, მათ შორის მრჩეველს კრეატიული ინდუსტრიების მიმართულებით.

სამინისტროს პრესსამსახურის განმარტებით, შეხვედრაზე საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს;

მხარეებმა ასევე განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გეგმები კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით.

შეხვედრას ესტონეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეა ახვლედიანი და ელჩის მრჩეველი ნატალია კიპაროიძეც დაესწრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ქართულმა უწყებათაშორისმა დელეგაციამ ესტონეთის საზღვაო მუზეუმი დაათვალიერა, რომელშიც უძველესი გემების მოდელებისა და საზღვაო ინსტრუმენტების უმდიდრესი კოლექციაა დაცული. სამუზეუმო ექსპოზიცია მე-14 საუკუნეში აშენებული კოშკის – „Fat Margaret“ ტერიტორიაზეა განთავსებული.

დელეგაციამ ასევე დაათვალიერა ტალინის კრეატიული ჰაბი – „Kultuurikatel“, რომელიც აერთიანებს ესტონეთის დიზაინისა და არქიტექტურის ცენტრებს.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში არიან „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ ექსპორტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოფო ბენდიაშვილი, დედაქალაქის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანამშრომელი ანა ჩხიკვაძე, პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ხელმძღვანელი მარიკა ზაქარეიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სერგო კალაძე და ამავე დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი ნიკოლოზ ნადირაშვილი.

ინტერპრესნიუსი

სამგლოვიარო განცხადებები

ლია ლაღიძე და სოსო ნაყოფია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მანანა ევგენის ასულ ლაღიძე-თოდუას

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს – შვილებს ნონას, ეკას, კობასა და მამუკას ოჯახებს.

დაკრძალვა: 9 აპრილს, ზუგდიდში, გიორგი ჭყონდიდელის 26.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პროგრამა

ოთხშაბათი
6 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 03.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ "**ჩინატო ვეტრინე**" **14.00** "მოამბე" **14.05** დ/ფ "არქიტექტურა" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** სოციალური თოქ-შოუ **22.00** "კომუნიკატორი" **22.02** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **22.40 ფეხბურთი. ასჭ – მანჩესტერი 00.40** მხ/ფ "**აპოლო 13**" **03.10** მხ/ფ "**მეორე დღე რომ დაღამდა**" (მ.ბრანდო)

08.00, 10.10, 12.10, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **11.40** დ/ფ "საბერძნეთი-კრეტა" **13.00** დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **14.00, 16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.40 ფეხბურთი. "ვოლფსბურგი" – "რეალი" 00.40** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაბბის ველი**" **3** სერ. **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ. "**ზარი 2**" (ს.ბეიკერი) **02.35** მხ/ფ. "**ჯაშუში სამეზობლოში**" **04.05** ერთხელ საქართველოში **05.00** მხ/ფ. "**ქილის წინ**" (კ.ფერტი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაკი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გაიცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **10.30, 22.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **15.30** Discovery- მენტალისტი კით ბარი **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** ლომბარდის დედოფლები **20.30 20.30 23.30** მხ/ფ "**უკანასკნელი სიმღერა**" **1.25** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **2.25,** URBAN STORIES **3.15** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმი **07.05** დ/ფ "ნამოხვარ ჰესი" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" **11.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ ან/ფ **15.30** ყველაზე, ყველაზე..."ბუნების საოცრებები" **16.20** დ/ფ "შორიელთა სიახლოვე" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ძველი დასაწყისი**" **20.40** ძილი ნებისა "პატარა სიმფონია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**ზაპი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.00** "კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**უფენოდ ვერ ვსუნთქავ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3006	ევრო — 2.6144
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2744	100 რუსული რუბლი — 3.3687

ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის



5 აპრილიდან



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

წიგნში შესულია საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში არსებული ცხრა ტომიდან ამოკრებილი მასალები (1994-2004 წწ.), რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტს ეხება, ასევე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული მოსმენა-გამოკითხვები.

გამოკითხვაში ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა როგორც პრეზიდენტის დაცვის წევრებმა, ასევე მაშინდელმა თანამდებობის პირებმა, რომელთა გარემოცვაშიც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.

წიგნს ერთვის საინტერესო ფოტომასალა, პირთა და გეოგრაფიული საძიებელი.

7 აპრილიდან

ლაშა თაბუკაშვილი

ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ! ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანია.

წიგნში მოთხრობილია იშხნელთა გვარის ორი წარმომადგენლის ისტორია. ერთი ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შვილია, რომელიც რთული ცხოვრების შემდეგ წარმატებული ბიზნესმენი ხდება.

მეორეა საქართველოში მცხოვრები, გამომცემელი ბექა იშხნელი. იგი ამერიკელი ქართველის შორეული ნათესავია. ისინი ნაწარმოების დასაწყისშივე ხვდებიან ერთმანეთს...

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ 1 აპრილიდან

იესო ქრისტეს ნათლისღება

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

გონსალო იგუაინი 4 თამაშს გამოტოვებს

ნაპოლის არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი იტალიის საფეხბურთო ფედერაციამ მკაცრად დასაჯა და 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

იგუაინი უდინეზესთან შეხვედრის დროს გააძევეს, მაგრამ ასეთი მკაცრი განაჩენის მიზეზი ეს არ არის. საქმე ისაა, რომ გონსალომ თავისი გაძევება აქტიურად გააპროტესტა და კინაღამ მსაჯს ხელით შეეხო. იგუაინი თანაგუნდელებმა გაიყვანეს მოედნიდან.

არგენტინელ ფორვარდს ფულადი ჯარიმაც დაეკისრა 20.000 ევროს სახით.

ნაპოლი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, თუმცა სავარაუდოდ დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩება.

გონსალო იგუაინის არყოფნა ნაპოლისთვის უდიდესი დანაკლისია, რადგან წლევანდელ სეზონში მან იტალიის ჩემპიონატში 31 მატჩში 30 გოლის გატანა შეძლო.

ჟერარ პიკე: „მესი უცხოპლანეტელია, ხოლო კრიშტიანო რონალდუ საუკეთესოა ადამიანებს შორის“

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ მესიზე და კრიშტიანო რონალდუზე საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა.

საფეხბურთო სამყაროში ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რომელია ამ ორიდან მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი. პიკეს ამ საკითხზე ასეთი აზრი აქვს:

– ორივე შესანიშნავია მოედანზე და მათ სიძლიერეს არავინ ეჭქვეშ არ აყენებს. მესი ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია, რომელიც ამ პლანეტიდან არ არის, კრიშტიანო რონალდუ კი საუკეთესოა ადამიანებს შორის. მათ ორივეს უდიდეს პატივს ვცემ და მეამაყება, რომ მესი ჩემი თანაგუნდელია.

პიკემ ასევე განაცხადა, რომ რონალდუს წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი მცველისთვის ძალიან რთულია.

ანტონიო კონტეს 6 თვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ანტონიო კონტეს ძველი ცოდვები გაუხსენეს და შესაძლოა ის ფეხბურთს 6 თვით ჩამოაშორონ.

2010/11 წლების სეზონში, როდესაც კონტე სიენას მწვრთნელი იყო, მისმა გუნდმა რამდენიმე გარიგებულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. კონტე ამის გამო დაისაჯა და თავის დროზე 4 თვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

მიუხედავად ამისა, იტალიელი სპეციალისტისთვის ახალ სასჯელს ითხოვენ. ყველასთვის ცნობილია, რომ ანტონიო კონტე მომავალი სეზონიდან ლონდონის ჩელსის ჩაუდგება სათავეში და მის რეპუტაციაზე ეს სკანდალი უარყოფითად იმოქმედებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ყაზბეგამდე სოფელი არაა მდებარეობს. ქალი გზაზე მიკროავტობუსს ხელს დაუქნევს და მძღოლს ეძახის:

– არაშამდის, არაშამდის...

მძღოლი გამოსძახებს:

– დაუფურთხე, ქალო, დაუფურთხე!

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– სად დაიკარგე, კაცო, რომ აღარ ჩანხარ?

– ცოლი მოვიყვანე.

– სადაური ქალია?

– ნახევრად მეგრელი და ნახევრად გურული.

– ეგ ცოლი კი არა, ნამდვილი სტიქიური უბედურებაა!

●●●

სოფელში ბავშვები თანაკლასელის მამის გასვენებაში მივლენ. ოთახში შესულები ატეხილმა წივილ-კივილმა დააბნია, გზაც არავინ უჩვენა და მიცვალებულს მეორე წრე რომ დაარტყეს, ერთ-ერთმა ჭირისუფალმა თავსაფარი აიწია და ბავშვებს ეუბნება:

– რაია, ბაღლებო, „იოლკაა“???

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– სექსის დროს ქმრისთვის თვალებში ჩაგიხედავს?

– კი, ერთხელ კარი შემოაღო და...

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 2. მეტალურგიაში მადნიდან ძვირფასი ლითონების მიღების პროცესი; 3. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 4. რაიმე საქმეში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5. საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩახარშული სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე სიდიდის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან ზემოთკენ მიმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 5. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 7. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 9. საბავშვო მხატვრული ფილმის „ქაჯანას“ კინორეჟისორი; 10. ჰოლანდიური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. უფროსი მღვდელი ლუთერანულ ეკლესიაში; 16. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. გრძელბეწვიანი ძონადირე ძაღლის ჯიში; 22. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 23. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 24. ქალაქი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 25. დენის ძაბვის ერთეული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა